

## თავი 36

სიტყუაჲ ესე: „ხოლო მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე. და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჴმაცო იესუ ჴმითა დიდითა და თქუა: ელი, ელი! ლიმა საბაქთანნი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! რაჲსათჳს დამიტევებ მე? და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს: ელიას უჴმოზს ესე. და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და დაადგა ლერწამი და ასუმიდა მას“ (27,45-48).

კუალადცა ცხოელსმყოფელთა მათ ქრისტეს ვნებათათჳს ვიტყოდით, რამეთუ კეთილ არს მარადის ჴსენებაჲ მათი და სარგებელ სულისა.

ესე არს სასწაული იგი, რომელი, ოდეს-იგი ჴურიანი ითხოვდეს, ჴრქუა უფალმან მიცემაჲ და ეტყოდა: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონა წინაჲსწარმეტყუელისაჲ“. <sup>1</sup> ესე არს იგი სასწაული: ჴუარ-ცუმაჲ და სიკუდილი, დაფლვაჲ და აღდგომაჲ. და კუალად სხუასა ადგილსა მოასწავებდა ძალსა მას ჴუარისასა და იტყოდა: „ოდეს აღამაღლოთ ძე კაცისაჲ, მაშინ სცნათ, ვითარმეჲ მე ვარ“. <sup>2</sup> ესე იგი არს, ოდეს ჴუარს-მაცუათ და ჴგონებდეთ, თუ მძლექმნულ ხართ, მაშინ უმეტესად სცნათ ძალი ჩემი. რამეთუ შემდგომად ჴუარ-ცუმისა ქალაქი მათი წარწყმდა, და იგინი აზნაურებისა და პატივისაგან განვარდეს, და წარწყმდა ყოველი საქმე ჴურიათაჲ.

ქადაგებაჲ ქრისტჳსი აღყუავნა და კიდეთა ქუეყანისათა განეფინა, და ძალსა მისსა ყოველი სოფელი, ჴლუაჲ და ჴმელი, უდაბნოჲ და შენი მარადის ქადაგებენ. და კუალად ჴამსა მას ჴუარ-ცუმისასა მებრ აღესრულებოდეს სასწაულნი იგი საკკრველნი, რომელნი ფრიად უსაკკრველეს იყვნეს მაშინ, ვიდრელა იქცეოდა რაჲ ქუეყანასა ჴედა. და სასწაულნი იგი ჴეცით გამოჩნდეს: დაბნელებაჲ მზისაჲ და ქუეყანით ძრვაჲ და განპებაჲ კრეტსაბმელისაჲ და განხეთქაჲ კლდეთაჲ და აღებაჲ საფლავთაჲ და აღდგომაჲ მკუდართაჲ. და ესე ვითარნი საკკრველებანი არასადა ქმნილ იყვნეს. იქმნეს ეგჳბტესცა, რომელნი-იგი სახე იყვნეს ამისა, გარნა ესენი ფრიად უსაშინელეს იყვნეს: აღებაჲ სამარეთაჲ და აღდგომაჲ მკუდართაჲ. და ესე ყოველმან სოფელმან იხილა, ხოლო ცოფთა მათ და გულფიცხელთა არა შეიგონეს.

და იხილეთ, ვითარ ჴამსა ჴეროანსა იქმნეს სასწაულნი იგი: ვინაეთგან ყოველივე ძკრი აჩუენეს უფალსა, ტანჯეს, ჴუარს-აცუეს, განბასრეს, ეკიცხევდეს, და ყოველი გულისწყრომაჲ მათი დააცხრვეს, მაშინ

<sup>1</sup> მათ. 12,39; 16,4; ლუკ. 11,29.

<sup>2</sup> იოან. 8,28.

გამოაჩინა სასწაულნი იგი, რადთა გულისჴმა-ყონ და შეინანონ, და არა შეინანეს.

ეტყოდეს: „გარდამოჴედინ ჯუართ, და გურნმენესო“.<sup>1</sup> და არა-მე ესე საქმენი უსაკრველეს იყვნესა, † უგუნურნო, ვიდრე გარდამოსლვად ჯუართ?

ეჴა ფრიადი გულფიცხელობად! † სასონარკუეთილი იგი გონებად მათი! რამეთუ ცხად იყო საქმე იგი, ვითარმედ არა ჩუეულებისაებრი მოკლებად იყო მზისად; რამეთუ სამი ჟამი დაყო ბნელმან მან, რომელ-ესე არაოდეს იქმნების უმეტეს ერთისა ჟამისა მოკლებად მზისად; ხოლო მაშინ სრულიად დაბნელდა. და ესე იქმნა სავსებასა მთოვარისასა; რომელ არასადა ქმნილ არს დასაბამითგან, რადთამცა სავსელა იყო მთოვარე, მოაკლდამცა მზესა. რამეთუ ბუნებითი იგი მზისა მოკლებად იქმნების, ოდეს მთოვარე დღისი ეწიოს და ქუეშეთ კერძო წარვლოს და დაფაროს მზე, რამეთუ უმაღლესსა გზასა ვალს მზს, ხოლო ოდეს მთოვარე სავსებით იყოს, ესე არა შესაძლებელ არს. გარნა მაშინ ოდენ იქმნა, რადთა იყოს უცხო და საკრველ.

ან უკუე, გინა თუ უფლისა მიერ ქმნილადმცა ჰრნმენა საქმე იგი, გინა თუ მამისა მიერ მონვენად რისხვისად გულისჴმა-ყვეს, ჯერ-იყო შეგონებად და ძრწოლით სინანული. ხოლო მათ არა ინებეს, რამეთუ ფიცხელ იყვნეს გულითა და ყოვლითურთ სამკვდრებელ ეშმაკისა.

თქუას ვინმე, ვითარმედ: რად არა განკვრდეს ყოველნი კაცნი მაშინ და იცნეს უფალი ღმერთი? გარნა ესე საქმე ცხად არს, რამეთუ მაშინ ნათესავი კაცთად დიდითა საცთურითა შეპყრობილ იყო, და საკრველსა მას ზედა დაღაცათუ ყოველნი განჴკრთეს, არამედ მსწრაფლ გარდაჴდა და ვერ ეძლო განფრთხოზად დიდისა მისგან სიბნელისა და ძიებად მიზეზი მის საქმისად. ნუუკუე ჴგონებდესცა ვიეთნიმე, თუ ბუნებითითა რადმე წესითა იქმნა, რამეთუ ფრიად იყო მაშინ უღმერთობად.

ხოლო ჴურიათა არად აქუნდა სიტყუად, რამეთუ ცნეს განცხადებულად, ვითარმედ ქრისტეს ჯუარ-ცუმისათჴს იქმნა ბნელი იგი და ძრვად და სხუად ყოველივე. ეხილვნეს სხუანიცა იგი აურაცხელნი სასწაულნი მისნი, რადსათჴს უკუე არა ჴრნმენა? არამედ ხედვიდეს რად საკრველებათა მათ, კუალადცა დგესვე და შეურაცხ-ჴყოფდეს.

საცნაურ იქმნა უკუე განცხადებულად, ვითარმედ ქრისტეს მიერ იქმნებოდეს საკრველნი იგი საშინელნი. რამეთუ ამისთჴს ჴმა-ყო მეცხრესა ჟამსა, რადთა ცნან, ვითარმედ ცოცხალილა არს და მან ქმნა ნიშები იგი დიდებული, და მოიქცენ და შეინანონ. გარნა არავინ იყო მათ შორის მეცნიერ, არავინ იყო მიერთამდე. სამარე ზედებულ იყო ჴორჴი მათი, ენითა მათითა ზაკუეასა იტყოდეს. დასაჯენ იგინი, ღმერთო, უტყუ იქმნენ ზაგენი

<sup>1</sup> მათ. 27,42.

იგი მათნი მზაკუვარნი, რომელნი იტყოდეს მართლისა მის ზედა უშჯულოებასა.<sup>1</sup> არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

„და მეცხრესა ოდენ ჟამსა ჳმა-ყო იესუ ჳმითა დიდითა და თქუა: ელი, ელი! ლიმა საბაქთანნი? ესე არს: ლმერთო ჩემო, ლმერთო ჩემო! რაესათვს დამიტევებ მე?“

ესე თქუა მაცხოვარმან, რაეთა ცნან ყოველთა, ვითარმედ არა არს წინააღმდეგომ ლმრთისა, არამედ აღსასრულადმდე პატივ-სცემს მამასა, და ჰრცხუენოდის ჰურიათა, რომელნი გმოზდეს მისა მიმართ. ამისთვს წინადასწარმეტყუელისაცა სიტყუად აჳსენა, რაეთა ცნან, ვითარმედ ენამების შჯულსა და წინადასწარმეტყუელთა.

ხოლო ვითარ თქუა, თუ: „ლმერთო ჩემო, ლმერთო ჩემო, რაესათვს დამიტევებ მე“?<sup>2</sup> არა თუ იგი დატეობილ იყო მამისაგან ანუ თვსისა ლმრთეებისაგან, არამედ ვითარცა მრავალგზის მითქუამს, ვითარმედ შეიმოსა რაე ბუნებად ჩუენი, ყოველივე ჩუენი იჩემა; და ანცა ჩუენსა მას საქმესა თავსა შორის თვსსა გამოსახავს, რამეთუ ჩუენ ვიყვნით დატეობილნი და უგულვებელსქმნილნი პირველ, ხოლო ან შენყნარებულნი და შეწყალებულნი ვნებითა მით უვნებელისადათა.

რამეთუ ამას პირსა გამოსახავს ყოველივე იგი ოცდამეერთე ფსალმუნი, ქრისტესთვს თქუმული. ჩუენისა ამის ბუნებისა მაგიერთა სიტყუათა ქრისტეს მიერ იტყვს, ვითარცა იგი უმეცრებასა ჩუენსა იჩემებს და უძღურებასა, სახიერი იგი, რომელი მოვიდა ყოვლით კერძო განკურნებად ჩუენდა და უძღურებანი ჩუენნი აღიხუნა და სნეულებანი თავს-ისხნა. დიდებად აურაცხელსა წყალობასა და კაცთმოყუარებასა მისსა!

**„და რომელთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს: ელიას უჳმობს ესე. და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოილო ღრუბელი და აღავსო ძმრითა და დაადგა ლერწამი და ასუმიდა მას. ხოლო სხუანი იტყოდეს: აცადეთ, და ვიხილოთ, უკუეთუ ელია მოვიდეს ჳსნად მაგისა“ (27,47-49).**

იხილეთღა გარდარეული იგი უშჯულოებად და სიბოროტე მათი! ჯუარსა ზედა დამოკიდებულსაცა სტანჯვიდეს: რომელნიმე ძმარსა ასუმიდეს, რომელნიმე ჰბასროზდეს, სხუამან შემდგომად აღსრულებისაცა ლახურითა უგუმირა გუერდსა მისსა. რამცა იყო ამისა უძვრეს, ვინცა იყო მათსა უბოროტეს, რომელნი შემდგომად სიკუდილისაცა სტანჯვიდეს?

ხოლო შენ, საყუარელო, იხილე, ვითარ უშჯულოებად მათი ჩუენდა საცხორებელად იჳმარა უფალმან; რამეთუ ოდეს-იგი უგუმირეს გუერდსა მისსა, მაშინ გარდამოჳდეს მიერ წყარონი იგი ცხორებისა ჩუენისანი; ხოლო სიტყუად იგი, ვითარმედ: „ელი, ელი! ლიმა საბაქთანნი?“ ენითა მით ებრაულითა არს. ვითარ ვერ ცნეს უღმრთოთა, არამედ იტყოდეს, ვითარ-

<sup>1</sup> შდრ. ფსალმ. 52,4; 5,11; 30,19.

<sup>2</sup> შდრ. ფსალმ. 21,2.

მედ: „ელიას უწმობს“? ესოდენ მთრვალ იყვნეს უკეთურებითა და ცნობა-მიღებულ. ხოლო იყვნეს მუნ ერისაგანნიცა იგი მთავრისანი, ჰრომნი და ბერძენნი, და ებრაულიცა სადმე არა ფრიად იცოდეს და თქუეს: „ელიას უწმობს“; ხოლო ჰურიათა ნეფსით დაიდუმეს და არა აუნყეს მათ სიტყუათა მათ განმარტებად.

სახარებად: **„ხოლო იესუ კუალად ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული“ (27,50).**

თარგმანი: ესე არს, რომელსა იტყოდა, ვითარმედ: „მე დავსდებ სულსა ჩემსა, რაათა კუალად მოვილო იგი. არავინ მიმილოს იგი ჩემგან, არამედ მე დავსდებ მას თავით ჩემით. ჴელ-მენიფების დადებად მისა და ჴელ-მენიფების კუალად მოღებად მისა“.<sup>1</sup> ამისთვის ჴმა-ყო, რაათა გამოაჩინოს, ვითარმედ ჴელმნიფებით იქმოდა საქმესა ამას.

ამისთვისცა ასისთავსა მას ჰრწმენა, იხილა რაჲ, ვითარმედ ჴელმნიფებით მოკუდა და ჴმამან მისმან კრეტსაბმელი იგი განაპო და ქუეყანად შეძრა და საფლავნი აღახუნა და მკუდარნი აღადგინნა.<sup>2</sup>

ხოლო განპებად იგი კრეტსაბმელისაჲ რაჲსათჴს იქმნა? არა თუ ტაძარი იგი შეურაცხ-ყო, რამეთუ თავადი იტყოდა: „ნუ ჰყოფთ სახლსა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო“,<sup>3</sup> არამედ იგინი უღირსად გამოაჩინნა მას შინა ყოფისა. ამისთვის განპებითა მით კრეტსაბმელისაჲთა მოასწავა სრულიადი იგი მოოწრებად მისი და უაღრესისა მიმართ შეცვალებაჲ საქმეთად.

ეჴა საკრველი! ელისეს ზე მკუდარი ერთი შეეხო ძუალთა მისთა და აღდგა, და ყოველთა უკჴრდა. და ან ჯუარსა ზედა დამოკიდებულმან ჴმითა თჴსითა ურიცხუნი მკუდარნი აღადგინნა არა ესრეთ ლიტონად, არამედ **„ქუეყანად შეიძრა, და კლდენი განსთქდეს“ (27,51)**, რაათამცა გულისჴმაყვეს ბრმათა მათ, ვითარმედ ჴელ-ენიფებოდა მათიცა დადნობაჲ და ნარწყმედაჲ. რომელმან კლდენი განაპნა და ქუეყანად შეარყია და მზე დააბნელა, არამცა იგინი უადვილესად მოსწყდნა, უკუეთუმცა ენება? გარნა არა ინება მათი განლევად, არამედ ნივთთა მათ ზედა უსულოთა აჩუენა რისხვად თჴსი, რაათა იგინი შეშინდენ და მოიქცენ. არამედ არა ინებეს შეგონებად.

რამეთუ ესრეთ არს შური. არა იცის უმჯობესისა გულისჴმის-ყოფად, ვითარ-იგი მათ შეემთხჴა. და ამისაცა შემდგომად, მიუთხრეს რაჲ ცხადად მცველთა, ვითარმედ აღდგა მკუდრეთით, ვეცხლი დიდძალი მისცეს, რაათა დაფარონ საქმე იგი დიდებული. არამედ ვერ ეძლო უღმრთოთა მათ.

ეგრეთვე ან, არა თუ არა იცოდეს, ვითარმედ ყოველნი იგი საკრველებანი ქრისტემან ქმნა, არამედ ნეფსით თუალნი დაეყვნეს და არა ინებეს გულისჴმის-ყოფად, ვითარმედ სასნაულნი იგი მოასწავებდეს მათ ზედა

<sup>1</sup> იოან. 10,17-18.

<sup>2</sup> მათ. 27,51-52.

<sup>3</sup> იოან. 2,16.

მონვენადსა მას რისხვასა და მორწმუნეთა ცხორებასა, განღებასა სასუფეველისასა და შესლვასა ჩუენსა „წმიდა წმიდათასა“ მას. უგუნურნი იგი იტყოდეს, ვითარმედ: „უკუეთუ მეუფე ისრაჲლისა არს, გადამოწედინ მაგიერ ჯუარით“;<sup>1</sup> ხოლო მან გამოაჩინა, ვითარმედ ყოვლისა სოფლისა არს მეუფე. იგინი იტყოდეს: „ეჰა რომელი დაჰჴსნიდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ“;<sup>2</sup> ხოლო თავადმან გამოაჩინა, ვითარმედ სრულიად მოოწრდეს. იგინი იტყოდეს: „სხუანი აცხოვნნა, თავისა თჴსისა ვერ ძალუცა ცხოვრებად“;<sup>3</sup> ხოლო თავადმან, ჯუარსა ზედა რად იყო, აღდგინებითა მით მკუდართადთა აჩუენა ჴელმწიფებად თჴსი. რამეთუ უკუეთუ ოთხისა დღისა მკუდრისა ლაზარეს აღდგინებად დიდ იყო და საკკრველ, რავდენ უფროდსად საკკრველ იყო მეყსა შინა აღდგინებად ურიცხუთა მკუდართად, მრავლით ჟამითგან დაძინებულთად, რომელ-იგი მერმისა მის ყოველთა აღდგომისა სასწაული იყო. ამისთჴს იტყჴს:

**„და მრავალნი გუამნი წმიდათანი აღდგეს და გამოვიდეს საფლავით მათით და შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა“** (27,52-53). რადთა ვერვინ თჴუას, თუ უცნებად არს საქმე იგი, ამისთჴს გამოეცხადნეს მრავალთა. ხოლო რომელ იტყჴს, ვითარმედ: „იესუ ჴმა-ყო ჴმითა დიდითა და განუტევა სული“, ლუკა გუასწავებს, თუ რად ჴმა-ყო, რამეთუ იტყჴს, ვითარმედ: „ჴმა-ყო ჴმითა დიდითა იესუ და თჴუა: მამაო, ჴელთა შენთა შევჴვედრებ სულსა ჩემსა. და განუტევა სული“.<sup>4</sup>

**„ხოლო ასისთავმან მან და მისთანათა და რომელნი სცვიდეს იესუს, იხილეს ძრვად იგი და რად-იგი იქმნა, შეეშინა ფრიად და იტყოდეს: ჴეშმა-რიტად ძჴ ღმრთისა იყო ესე“** (27,54). ესოდენ დიდ იყო ძალი ჯუარცუმულისა მის უფლისა, რომელ ესოდენნი საკკრველებანი აღესრულნეს მის მიერ და ასისთავსა მას ჰრწმენა. ხოლო თჴუმულ არს მისთჴს, ვითარმედ ინამაცა ამისსა შემდგომად სახელისათჴს ქრისტესისა, აჩუენა სრული იგი სიმჴნე სარწმუნოებისად.

ს ა ხ ა რ ე ბ ა ა : **„იყვნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს და რომელნი შეუდგეს იესუს გალილეადთ და ჴმსახურებდეს მას; რომელთა თანა იყო მარიამ მაგდანელი და მარიამ იაკობისი და იოსეს დედა და დედაი ძეთა ზებედესთა“** (27,55-56).

თ ა რ გ მ ა ნ ი : იხილეთლა, რაბამი იყო სიმჴნე დედათად მათ და ღმობიერებად! შეუდგეს მას და ჴმსახურებდეს და ვიდრე აღსასრულადმდე განუშორებელ იყვნეს და არცა თუ მძლავრებისა მისგან ჴურიათადსა შეშინდეს, არამედ მუნ მდგომარე იყვნეს და ხედვიდეს. ამისთჴსცა ყოველივე იხილეს: ვითარ-იგი ჴმა-ყო და განუტევა სული, ვითარ-იგი იძრა ქუეყანად, და კლდენი განსთჴდეს, და სხუად ყოველივე, რადცა-იგი იქმნა საკკრველი.

<sup>1</sup> მათ. 27,42.

<sup>2</sup> მათ. 27,40.

<sup>3</sup> მათ. 27,42.

<sup>4</sup> ლუკ. 23,46.

და ამისთვისცა მათ პირველ ყოველთასა იხილეს უფალი; და ნათესავი იგი დაშჯილი უნინარეს სხუათასა მიემთხვა ხილვასა მას კეთილსა. რამეთუ ანცა ფრიადი აჩუენეს ახოვნებად, მონაფენი ივლტოდეს, და დედანი განუშორებელ იყვნეს. ხოლო რომელნი არიან დედანი იგი? ერთად, ყოვლადწმიდად დედად მისი არს, რამეთუ მას იტყვს მახარებელი მარიამ იაკობისად, და სხუანი იგი მის თანა. ხოლო სხუად მახარებელი იტყვს, ვითარმედ: „რომელთა იხილეს ხილვად ესე, იცემდეს მკერდსა მათსა და ტიროდეს“.<sup>1</sup> ხოლო უღმრთონი იგი ჰურიანი ყოვლადვე არა ლმობიერ იქმნეს, არამედ უფროსად განძნდებოდეს და არა შეშინდეს საქმეთა მათგან, რისხვისა ღმრთისა მომასწავებელთა: სიბნელისა მისგან და ძრვისა და კლდეთა განხეთქისა და საფლავთა აღებისა და სხუად იგი ყოველივე, რომელი ცნობათა უალრეს იყო და ძრწოლითა დიდითა სავსე.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიადთ, სახელით იოსებ, რომელ იგიცა მონაფე ყოფილ იყო იესუსა. ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუამი იესუსი. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისი. და მოილო გუამი იგი მისი იოსებ და შეჰგრაგნა იგი ამრენაკსა წმიდასა და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუეთა კლდისა მისგან, და მოაგორვა ლოდი დიდი კარსა მას საფლავისასა და წარვიდა“ (27,57-60).

თ ა რ გ მ ა ნ ი : ესე იოსებ პირველ ფარულად იყო მონაფე იესუსა, ხოლო ან, შემდგომად სიკუდილისა მისისა, დიდი კადნიერებად აჩუენა; რამეთუ არა უჩინოთაგანი იყო, არამედ კაცი იყო წარჩინებული და შუენიერი მზრახვალი; და დადვა თავი თვისი სიკუდილდ და მტერობად ყოვლისა მის შესაკრებელისა მიმართ თავს-იდვა სიყუარულისათს ქრისტესისა. შევიდა პილატესა და ითხოა გუამი ქრისტესი ახოვნებით და მონლედ. რამეთუ იხილა რად, ვითარმედ აღასრულა მოძღუარმან მან სახიერმან და მეუფემან კაცთმოყუარემან ყოველივე განგებულებად ცხორებისა ჩუენისა და ნეფსით თვისით ჯუარს-ეცუა და განპყრობითა მით ჴელთადათა შეაერთნა დაბადებულნი, და უხილავნი იგი ბოროტნი სულნი უკეთურებისანი განაქიქნა ვნებითა ჴორცთა თვსთადათა, და ინება ხილვად გემოდ სიკუდილისა ბუნებითა მით კაცობრივითა, რადთა უკუდავებად მოგუმადლოს ჩუენ; მაშინ მიიდრიკა წმიდად იგი თავი მისი და უბრძანა სიკუდილსა, ვითარცა მონასა, მისლვად წმიდათა მათ ჴორცთა მისთა მიმართ. ხოლო იგი შეძრწუნებით, ვითარ მონად, მოვიდა მონებად სამეუფოსა მას ბრძანებასა. მაშინ წმიდანი იგი ჴორცნი, რომელნი საშინელ იყვნეს ქერაბინთა მიერ და შესაძრწუნებელ სერაბინთა, მიეცნეს სიკუდილად, ვითარცა უნდა უფალსა პატიოსანთა მათ ჴორცთასა; და სული იგი მაცხოვრისა და წარვიდა ხარებად სულთა

<sup>1</sup> ლუკ. 23,48.



მათ შერყუდეულთა და გამოწსნად ჯოჯოხეთისაგან. ხოლო ღმრთეებად მისი იყო სულსაცა თანა და ჴორცთა უვნებელად, რამეთუ არასადა განეშორა ღმრთეებად კაცებისაგან, ვინათგან შეიერთა; არამედ ზეცასცა იყო განუშორებელად და საფლავსაცა შინა უვნებელად; არა თუმცა მას რად ევნებოდა, არამედ უფროესად ჴორცთა მათცა, რომელნი შეიმოსნა, განუხრწნელად დაიცვიდა. ესევეთარი განგებად დიდებული და საკურველი გულისწმა-ყო და განიზრახა შუენიერმან მან მზრახვალმან იოსებ, ინება ერთგულებისა ჩუენებად მოძღურისა მის მიმართ და ღმრთისა შემდგომად ჯუარ-ცუმისაცა და ქმნად ესე საბეჭდავ თჳსისა მონფობისა. შევიდა პილატესა, ევედრებოდა მას და ეტყოდა: გევედრები შენ, მთავარო, მკუდრისა მისთჳს, რომელსა ჰურიათა ცილი დასწამეს და დასაჯეს, და მეგობართა დაუტევეს ჟამსა მას ვნებისასა. მკუდრისა მისთჳს გევედრები, რომელი ნეფსით მოკუდა, რამეთუ უკუეთუმცა არა ენება, ვერ ჴელ-გენიფებოდა მოკლვად მისი. გარდამოვწსნა ძელისაგან უბრალოდ იგი და უცოდველი, რომელმან არად ვის სადა ავნო, არამედ ბევრეულითა კეთილითა ყოველნი აღავსნა. მომანიჭე, # პილატე, ნიჭი ესე, რომლისა უმჯობესი არარად გაქუს. მომმადლე მადლი ესე, რომელი აღავსებს მადლითა და სიხარულითა მეძიებელთა მისთა. მომმადლე ცხოელსმყოფელი ესე მკუდარი, რადთა დავჳმარხო იგი ქუეყანასა. მომეც გუამი ესე სამგზის სანატრელი, რომლისა სიკუდილი იგლოვეს ყოველთა დაბადებულთა. მომმადლე გუამი ესე ყოვლადწმიდად, რომელი იხილა რად ტაძარმან ჯუარსა ზედა, კრეტსაბმელი თჳსი მოიხია, და მზემან ბნელი შეიმოსა, და კლდენი განსთქედეს, და ქუეყანად ძრწოდა. ამბორს-უყო წყლულებასა წმიდათა მათ ჴელთასა, რომლისა მიერ წყლულებანი სულისა ჩემისანი განიკურნნეს; შევეხო უხრწნელსა მას გუერდსა, რომლისაგან აღმოეცნეს წყარონი იგი ცხოვრებისა ჩემისანი. წარვგრაგნო ჴელითა ჩემითა დამწსნელი იგი საკურველთა სიკუდილისათა. დავჳკრძალო ჴელითა ამით ცოდვილითა მოძღუარი იგი და მასწავლელი ყოვლისა სიმართლისა. შევეხო გუამსა მას უცოდველსა, რომლისა შეხებითა მომეცემის ნეტარება. წარვგზავნო საფლავად, რომელსა ეგულების განღებად საფლავთად. მიუვლინო ჰყრობილთა მათ საუკუნიტგანთა უკუდავებისა წყაროდ. აღუნთო მყოფთა ჯოჯოხეთისათა სანთელი იგი უკუდავებისად.

ამას ესევეთარსა იოსებ იტყოდა კეთილად, და პილატე ისმენდა მონლედ, რამეთუ ძალი იგი უფლისა იესუდსი დაარწმუნებდა გულსა პილატესსა მორჩილებად. მაშინ პილატე უბრძანა მიცემად გუამი იგი მისა. მივიდა იოსებ მოსწრაფედ, თაყუანის-სცა მწურვალედ, გარდამოწსნა ჯუარისაგან გუამი იგი ცხოელსმყოფელი და ღმობიერთა ცრემლითა ამბორ-უყოფდა და იტყოდა: უკუეთუ დედაკაცი იგი წიდოვანი, შეეხო რად ფესუსა სამოსლისა მისისასა, განიკურნა, მე შეხებითა წმიდისა ამის გუამისადათა არამცა წმიდა ვიქმენა? მოვიდა ნიკოდემოსცა, ვითარცა იოვანე გუასწავებს, და

ნარგრავნეს იგი ამრენაკსა წმიდასა მურითა და ალოთა, ლმობიერად და ცრემლითა მწურვალთა, და დადვა იგი იოსებ საფლავსა თვისსა ახალსა, სადა არავინ დადებულ იყო.<sup>1</sup> და ესეცა სასწაული ქმნა იოსებ თვისისა მის სიყუარულისა და სიმწნისა. ხოლო იქმნა ახალსა მას საფლავსა დადებად განგებულებით, რათა ვერვინ უძლოს იჭკსა შემოღებად, ნუუკუე სხუად ვინმე აღდგა; არამედ გამობრწყინდეს, ვითარმედ ქრისტესი დაიდვა გუამი, და იგივე აღდვა მესამესა დღესა.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „იყო მუნ მარიამ მაგდანელი და სხუად იგი მარიამ, და სხდეს წინაშე საფლავსა მას“ (27,61).

**თ ა რ გ მ ა ნ ი :** ამათიცა გული მწურვალე იყო და უშიშ. ამისთვისცა განუშორებელ იყვნეს საფლავისაგან და ეძიებდეს ჟამსა მიღებად ნელსაცხებელი და ცხებად გუამსა უფლისასა, არამედ ვერ ეძლო, რამეთუ ჯერეთ მცველნი დგეს მუნ და ერი მრავალი იქცეოდა.

### **სწავლად პე მონყალებისათჳს**

და ან ჩუენ, ძმანო, ვჰბაძვიდეთ მენელსაცხებლეთა მათ დედათა; ნუ დაუტეობთ იესუს ჟამსა განსაცდელისასა. მათ სული თჳსი დადვეს მის-თჳს და შემდგომად აღსრულებისაცა ჰმსახურებდეს, ხოლო ჩუენ არცა თუ მშიერი რად ვიხილოთ უფალი, მიუპყრობთ საზრდელსა, რამეთუ კუალად მასვე ვიტყვ, რად-იგი მრავალგზის მითქუამს. ვიცი, იტყვს კაცად-კაცადი ჩუენ შორის, ვითარმედ: უკუეთუმცა ვიხილე უფალი, ვითარმცა არა მივეც ყოველი მონაგები ჩემი? და არა იცითა, ვითარმედ ანცა მას თავადსა ვხედავთ? რამეთუ მან თქუა, ვითარმედ: „მე ვარ“, და „რავდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე მიყავთო“.<sup>2</sup> ან უკუე რად არა მისცემთ მონაგებთა თქუენთა? უკუეთუ შეინყალო გლახაკი, კაცო, და კეთილი უყო, არარათა უდარეს ხარ მენელსაცხებლეთა მათ, რომელნი ჰმსახურებდეს უფალსა, არამედ მოილო სასყიდელი სწორად მათა. რამეთუ უფალსამცა თუ ჰხედევდი პირისპირ, რომელმანმცა სულმან არა აჩუენა მონებად ჯეროანი? ხოლო ან უკუეთუ სიტყვსა და მცნებისა მისისათჳს გლახაკსა კეთილი უყო, უმეტესადლა მოიმადლებ უფალსა, და თჳსად შეჰრაცხავს ქველისსაქმესა მას. უკუეთუმცა არა თჳსად შეჰრაცხვიდა, არამცა ღირსყვნა მონყალენი სასუფეველსა, და უწყალონი არამცა მისცნა გეჰენიასა. არამედ საცნაურ არს, ვითარმედ თჳსად შეურაცხია, რავდენიცა უყოთ გლახაკთა.

<sup>1</sup> იოან. 19,39-42.

<sup>2</sup> მათ. 25,40.



ამისთვის, კაცო, იხილო რაღა გლახაკი, მოივსენენ სიტყუანი უფლისანი, რომელ თქუა, ვითარმედ: „მშობდა, და მეცით მე ჭამადი“,<sup>1</sup> და შემდგომი ამისი, და მოსწრაფებით ქმენ ქველისსაქმე. უკუეთუ არა გრწამს ან, მაშინ გრწმენეს, ოდეს გრქუას: „რავდენი არა უყავთ ერთსა მცირეთა ამათგანსა, მე არა მიყავთ“.<sup>2</sup> გარნა ნუ იყოფინ ჩუენდა სმენად ამის წმისა, არამედ მოგუეცინ უფალმან აქავე ნაყოფსა მოწყალებისასა ჩუენებად და სმენად წმასა მას კურთხევისასა, მწოდებელსა ჩუენდა სასუფეველად.

ჰე, გევედრები, შევიტკობთ მოწყალებად, რაფთამცა მივემთხვნეთ წყალობასა. გარნა ნუ მონახუეჭისა და ნატაცებისაგან ვიქმთ ქველისსაქმესა, რამეთუ ესევითარნი ქველისსაქმენი ჰურიათა შეჰგვანან, არა ქრისტეანეთა. არამედ არიან ანცა ვიეთნიმე, რომელნი ბევრეულსა მოიტაცებენ და მოიხუეჭენ, და უკუეთუ ათი, გინა ოცი, ანუ თუ ასი დრაჰკანი მისცენ გლახაკთა, ჰგონებენ, თუ შენდობილ არიან ბრალნი მათნი; რომელთათვის იტყვს წინაღსწარმეტყუელი, ვითარმედ: „დაჰფარვიდეს ცრემლითა გლახაკთაფთა საკურთხეველსა ჩემსა“.<sup>3</sup> არა ჰნებავს ქრისტესა მიღებად ქველისსაქმე ანგაჰრებისაგან. უკუეთუ ესევითარითა სახითა და ესევითართა გზათაგან მიუპყრა მას საზრდელი ანუ საფასე, საძაგელ არს ესე მის წინაშე. უმჯობეს არს ყოვლადვე არამიცემა ქველისსაქმისა, ვიდრე ესევითართა საუნჯეთაგან მიცემა. რამეთუ რაფ სარგებელ არს სხუათაგან აღებად და სხუათადა მიცემა? უკუეთუ იხილნე ორნი ვინმე, ერთი შიშუელი და ერთი მოსილი, და აღსძუარცო მოსილსა მას და შეჰმოსო შიშუელი იგი, არა ცოდვისა თანამდებ ხარა? ჰე, ჭეშმარიტად ტაცება ეწოდების და ავაზაკება საქმესა ამას.

ან უკუეთუ რომელი-იგი აღილე და სხუასა მიეც, ტაცებად შეგერაცხა, ოდეს მესადეი სადმე მონახუეჭისა მისცე გლახაკთა, ქველისსაქმედ უწოდა საქმესა მას? დიდისა სატანჯველისა ღირს არს ესე გულისსიტყუად. ძუელსა შჯუულსა შინა უკუეთუ ვინ მკელობელი ანუ ბრმად პირუტყვ მიიყვანის შესანიწავად, საბრალობელ არნ; და მპარავმან უკუეთუ მისცის უფალსა მის საქმისასა, რომლისაგან იპარა, ოთხნილად ძლით დაიწსნის ბრალი მისი. ხოლო ან უკუეთუ მოიტაცო, რომელ-ესე პარვისა ფრიად უძკრეს არს, და არა ძუელსა შჯუულსა შინა, არამედ ახალსა ამას მადლსა, და არავე მისცე მას, რომლისაგან აგელოს, არამედ სხუასა, და არა ოთხნილად, არამედ არცა თუ ნახევარი, გულისწმა-ყავ, რავდენისა სასჯელისა თანამდებ ხარ. ხოლო უკუეთუ გდროებს ღმერთი და ანვე არა მოანვეს სატანჯველსა, ამისთვის უფროდსად იგლოვდი, რამეთუ უკუეთუ არა მოიქცე და შეინანო, უმეტესად დაიუნჯებ თავისა შენისათვის სასჯელსა დღესა მას საშჯელისასა.

შევიწანოთ უკუე, ძმანო, და ვიქმოდით მოწყალებასა განწმედილსა ანგაჰრებისაგან. გულისწმა-ყავთ, ვითარ ძუელსა შჯუულსა იყო წესი ჰურიან-

<sup>1</sup> მათ. 25,35.

<sup>2</sup> მათ. 25,45.

<sup>3</sup> მალ. 2,13.

თად: რვაასსა ლევიტელსა ზრდიდეს და ობოლთა და ქურივთა ყოვლისა ერისათა და სხუასა მრავალსა მსახურებასა აღასრულებდეს ქველისსაქმითა მათითა. ხოლო ან სოფლები და აგარაკები და სავაჭროები და სამწყობნი და არვები და რემაკები და ესევითარი მრავალი უცალოებად განწესებულ არს ეკლესიათათჳს თქუენისა უწყალოებისა მიზეზითა, რამეთუ ჯერ-იყო, რადთამცა ამის ყოვლისაგან ეკლესიანი თავისუფალ იყვნეს და თქუენ მიერმცა აღესრულებოდა ყოველივე საჭმარი მათი და მღდელთმოძღუართად და გლახაკთად. ხოლო ან ორი წინააღმდგომი საქმე იქმნების: თქუენცა უნაყოფონი დაშთებით, და მღდელთა ღმრთისათა არა ჴელ-ენიფების ჯეროანთა მათ და სარგებელისა საქმეთა ოდენ ზრუნვად. არა თუ ვერ ეძლო მოციქულთაცა ქონებად დაბნებისა და აგარაკებისა, გარნა არა ჯერ-იჩინეს, არამედ წერილ არს „საქმესა მოციქულთასა“, ვითარმედ: „რომელნი პოვნიერ იყვნეს სანახებისანი გინა დაბნებისანი, განჰყიდდეს და მოაქუნდა სასყიდელი მათი, რომელთა-იგი განყიდიან, და დასდებდეს ფერჴთა თანა მოციქულთასა“.<sup>1</sup> ხოლო ან მამათა ჩუენთა იხილეს ამის ნათესავისა უღმობელოებად და ანგაჰრებად და შეშინდეს, ნუჴუკუე სიყმილითა მოსწყდენ კრებულნი ესე ობოლთა და ქურივთა და ქალწულთანი; ამისთჳს უნებლიეთ თავს-იდვეს ამათ მონაგებთა ეკლესიათასა მოგებად. არა უნდა თავთა თჳსთა ამას უშუერსა უცალოებასა მიცემად, არამედ ენება, რადთამცა თქუენმიერნი ქველისსაქმენი იყვნეს საუნჯე და შემოსავალ მათა, და იგინმცა განკრძალულ იყვნეს ლოცვასა და მოძღურებასა ერისასა, ხოლო ან თქუენი ანგაჰრებად მიზეზ ექმნა მღდელთმოძღუართა მიბაძვად ცხორებასა ერისკაცთასა. ამისთჳსცა ყოველივე ზე და ქუე იქმნა. რამეთუ ოდეს-ესე ჩუენცა ჴორციელთა ზრუნვათა შექცეულ ვართ, ვინ ევედრებოდის ღმერთსა და მოწყალე-ჰყოფდეს ჩუენ ზედა? ამისთჳსცა არა არს ჩუენდა ჟამი აღებად პირისა, რამეთუ არარადთა განყოფილ არიან ეკლესიანი სახლთა საერისკაცოთა. არა გასმიესა, ვითარმედ უზრუნველადცა შეკრებულთა საფასეთა განყოფად არა თავს-იდვეს მოციქულთა, არამედ სხუანი დაადგინნეს მსახურებად საქმისა მის?<sup>2</sup> ხოლო ან ვაჭართაცა წარჰჴედეს ებისკოპოსნი ზრუნვითა წარმავალთა საქმეთადთა და დაუტეობიეს საქმე თჳსი, რომელ-იგი არს ზრუნვად სულთა თქუენთად.

ამას არა ცუდად ვიგლოვ, არამედ ამისთჳს ვიტყვ, რადთა გულისჴმაჰყოთ თქუენ და ექმნეთ საუნჯე ეკლესიათა და მწყალობელ გლახაკთა, რადთა მღდელთმოძღუარნი ზრუნვასა ოდენ სულთა თქუენთასა და ლოცვასა განეკრძალნენ და შეწვენასა ჴირვეულთასა და მოღუანებასა უცხოთასა და ობოლთა ზრდასა და ქურივთა ჴელის-აჰყრობასა, ვითარცა მოციქულთა განანესეს. ხოლო უკუეთუ არა ისმინოთ, აჰა ესერა გლახაკნი წინაშე თუალთა ჩუენთა არიან. რავდენთაცა ძალ-გუედვას ჩუენ გამოზრდად,

<sup>1</sup> საქმე 4,34-35.

<sup>2</sup> საქმე 6,3-4.

არა უდებ ვიქმნეთ, რავდენთა ვერ ჴელ-გუენიფებოდის, იგინი თქუენ და-გიტევენთ გამოზრდად. ხოლო უკუეთუ უგულებელს-ჰყვენთ, ეკრძალენით, ნუუკუე გესმას მას დღესა საშინელი იგი ჴმად, ვითარმედ: „მშოდა, და არა მეცით მე ჴამადი“,<sup>1</sup> და შემდგომი ამისი. არს მადლითა ღმრთისათა სიმრავლე თქუენი მრავალ ბევრ. უკუეთუმცა კაცად-კაცადი დღითი-დღეთითო პურსამცა მისცემდით გლახაკთა და თითო დანგსა, ვჰგონებ, თუ არ-ღარამცა ვინ იყო გლახაკ, არამედ ყოველთამცა აქუნდა საზრდელი თჳსი, და მიიღეთმცა თქუენ სასყიდელი მონყალებსა.

ხოლო უნყი, ვითარმედ ვიეთნიმე თქუენგანნი იტყჳან ჩემთჳს, ვითარ-მედ: რად არს ესე, რომელ დღითი-დღე მონყალებისათჳს ოდენ გუეტყჳს და კაცთმოყუარებისათჳს? ჰე, დღითი-დღე ამისთჳს ვიტყჳ და არასადა და-ვსცხრე, ვიდრემდის ვიხილო, ვითარმედ წარემართოს ესე თქუენ შორის. უკუეთუმცა დამტკიცებულ იყო და წარმართებულ საქმე ესე თქუენ შორის, მაშინცა ჯერვე იყო ამისთჳს სიტყუად, გარნა დაღაცათუმცა დავსცხერით, არა დიდ იყომცა დაკლებად; ხოლო ან, ვინათგან არცა თუ ზოგსა მიწვევულ ხართ ამის სათნოებისასა, ვითარ ჴელ-მენიფების დადუმებად? უკუეთუ საქმე ესე საწყინო გიჩნს, თავთა თქუენთა აბრალეთ და ნუ მე. მითხართლა, უკუეთუ ყრმად მოსწავლე მრავალ ჟამ იყოს სასწავლოსა და ანბანსა ვერ განჰმართებდეს, ვითარ აბრალოს მოძღუარსა ზედადსზედა იძულებისათჳს? და თქუენცა უკუე ზედადსზედა სწავლითა ჩემითა მიჩუენეთ, რად ნაყოფი გამოგიღია. ვინ წარჰმართა მონყალებად, ვინ მისცა ნახევარი ანუ მესამედი ნაქონებისა თჳსისად გლახაკთა, რადთამცა მე დავიდუმე სიტყჳსაგან? ხოლო ან უფროდსად თქუენ გიჴმდა იძულებად ჩემი, რადთამცა არა დავიდუმე. ვითარცა-იგი უკუეთუმცა მკურნალი ვიყავ, და მოხუედმცა კურნებად თუალისა ანუ ჴელისა უძღურისა, და გცხემცა ნამალი სალბუნი ერთგზის და ორგზის, და არამცა განიკურნე, არა კუალადმცა მაიძულებდა კურნებად? ეგრეთვე არს სულიერთა საქმეთა ზედა; ვიდრემდის ვიხილო სათნოებად წარმართებული, დუმილად არა ჴელ-მენიფების.

ჰე თუმცა თქუენ შორისცა მარადის ესე სიტყუანი აღესრულებოდეს და ითქუმოდეს, რადთამცა წარემართა სათნოებად თქუენ შორის. მენება მეცა, რადთამცა არა ყოვლადვე ამის პირისათჳს ვიტყოდე, არამედ გასწავლიდიმცა სხუათა უმაღლესთა და უაღრესთა საქმეთათჳს: ნყობასა მტერთა მიმართ უხილავთა და ხილულთა. ესე არიან ეშმაკნი და მწვანეებელნი. არამედ ვითარ ვყო, ვინათგან ჯერეთ უძღურ ხართ, ვითარ გასწავლად მტერთა? დაღაცათუ მრავალი მითქუამს ამის ჴერისათჳსცა, არამედ, ვითარცა ვთქუ, უძღურებად სულისად აყენებს კაცად-კაცადსა. რომლისამე ჴელი შეღრეკილ არს უწყალოებითა, სხჳსა ფერჴნი წყლულ არიან სღვითა გზათა ცოდვისათა, სხჳსა თუალნი ტკივნეულ არიან ხედვითა პირთა მავ-

<sup>1</sup> მათ. 25,42.

ნებელთადათა. ან უკუე ესევეითართა ვითარ უძლონ აღებად ჭური და ფარი სულიერი და მახვლი მკლველი წინააღმდეგომთა და განსლვად წყობასა მას უხილავთა მტერთასა და მოღებად ძლევისა გვრგვნი?

განიწმიდენით თავნი თქუენნი ვნებათაგან ანგაჰრებისა, უწყალოებისა, ნაყროვნებისა, მთრვალობისა, ძვრის-ზრახვისა, ცუდადმზუაობრობისა და სხუათა ყოველთავე ესევეითართაგან, და მერმე შეგმოსნე საჭურველთა მით სულიერთა და განგიყვანნე წყობასა მას, და ვიოტოთ ბანაკები მტერთაჲ.

ხოლო ან, განვიდე თუ ხილვად მწედრობისა ჩუენისა, მიმოვალ და ვერ ვჰპოებ მრავალთა, არამედ ფრიად არიან წყლულნი და უძლურნი. კუალად უკუეთუ სახე მწყემსისაჲ აღვილო და მოვლო სამწყსოჲ ჩემი, მცირედთა ვჰპოებ ცხოართა, უმრავლესნი პირუტყუ არიან: რომელნიმე ცხენ მცბიერ, სხუანი მგელ მტაცებელ, სხუანი გუელ, ნაშობ იქედნეთა, და დიდსა უწესობასა ვხედავ ჩუენ შორის. რამეთუ რომელსაცა ვნებასა ვინ დამონებულ იყოს, პირუტყუთა მიემსგავსების და მწეცთა, ვითარცა წერილი გუასწავებს, და აღავსებს ეკლესიასა სიმყრალითა. ანუ არა სულმყრალობა არიანა ვნებანი და ცოდვანი? ჰე, ბოროტ არს სულმყრალობაჲ მათი. ამისთვის გვედრები, ძმანო, მოვიქცეთ ბოროტისაგან და ვქმნათ კეთილი, რაჲთა სურნელებაჲ სათნოებათაჲ იპოოს ჩუენ თანა. და არა ხილულთა ოდენ საკუმეველთა ვაკუმევედეთ ეკლესიასა შინა, არამედ უფროჲსად სურნელთა მათ სათნოებათა, რაჲთა ავიდოდინ ლოცვანი და ვედრებანი ჩუენნი წინაშე ღმრთისა სულად სურნელად, და მოეფინოს მის მიერ ჩუენ ზედა დიდი წყალობაჲ, და მივემთხვნეთ საუკუნეთა მათ კეთილთა ქრისტე იესუმს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუენითი უკუნისამდე, ამენ.

## თავი 30

სიტყუაჲ ესე: „ხვალისა დღე, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღდელთმოძღუარნი იგი და ფარისეველნი პილატესა და ჰრქუეს: უფალო, მოვიწსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო. ან ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი ვიდრე მესამედ დღედმდე, ნუჟუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით. და იყოს უკუანაგსენელი საცთური უძკრეს პირველისა“ (27,62-64).

მარადის საცთური თავსა თვსსა დაჰჴსნის და ჭეშმარიტებასა უნებლიეთ შეენევის, ვითარცა-ესე ანცა იქმნა. და გულისჴმა-ყავთ, თუ ვითარ ჯერ-იყო, რაჲთა სარწმუნო იქმნას, ვითარმედ მოკუდა ქრისტჴ ჴორცი-თა და დაეფლა და აღდგა. და ესე ყოველივე სარწმუნო იქმნა უფროსად სიტყუათა მათგან ჴურიათაჲსა, რამეთუ იტყოდეს: „მოვიწსენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო“. აჴა წამებაჲ სიკუდილისა მისისათჴს, ვითარმედ ჭეშმარიტად თავს-იდვა სიკუდილი. „ან ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგიო“. აჴა წამებაჲ, ვითარმედ დაეფლა. „ნუჟუკუე მოვიდენო მოწაფენი და წარიპარონ იგი“. აჴა კუალად წამეს, ვითარმედ: უკუეთუ დაიკრძალოს საფლავი იგი, არღარა აქუს სიტყუაჲ თქუჲად, თუ: წარიპარეს, რაჲთა გამოჩნდეს, ვითარმედ ჭეშმარიტად აღდგა. ჴხედავთა, ვითარმედ უნებლიეთ თანაენამებინ ჭეშმარიტებასა? და იხილეთ ჭეშმარიტებისმეტყუელებაჲ მოციქულთაჲ, ვითარ სიტყუათა მათ მტერთასა არა დაჴფარვენ, დაღაცათუ საყუედრელ იყვნენ. რამეთუ აჴა ესერა მაცთურით ხადეს უღმრთო-თა მათ და მაცთურთა მღდელთმოძღუართა და ფარისეველთა, და არცა ესე დაიდუმეს მახარებელთა აღწერად, რაჲთა გამოაჩინონ მათისა უკეთურებისა გარდარეული სიმრავლე, რომელ შემდგომად სიკუდილისა და დაფლვისაცა არა დასცხრეს ბოროტისზრახვად და მტერობის ჩუენებად. რასა იტყკთ, მაცთურნო და უშჯულონო ჴურიანო? მაცთურით ხადითა, რომელმან მკუდარნი თქუენნი აღადგინნა და კეთროვანნი განწმიდნა და ბრმანი განანათლნა, რომელმან ეშმაკეულნი თქუენნი განკურნნა და განრღუეულნი განაცხოელნა, რომელმან უდაბნოსა ჴედა ტაბლად განგიზადა ხუთითა ჴურიითა ხუთ ათასთა და შჴდითა ჴურიითა ოთხ ათასთა, რომელმან ლაზარეს, ოთხისა დღისა მკუდარსა, უწოდა და ცოცხალი წარმოადგინა, ვითარცა ძილისაგან განღჴებული?

უკუეთუ ქრისტე მაცთურ იყო, ჴ უღმრთონო, ჭეშმარიტი ვინლა იყო? რამეთუ იგი არს წყაროდ და ძირი ჭეშმარიტებისაჲ. ანუ რად გეშინის თქუენ სიტყუათა მისთაგან, ვინაჲთგან სწამებთ, თუ არა ჭეშმარიტი იყვნეს? რად სძრნით წინაგსწართქუმულისა მისისაგან? უკუეთუ არა აღდგ-

ეს მკუდარი ესე, თქუენ მიერ დაცვული, მერმე გამოჩნდეს, ვითარმედ არა ჭეშმარიტ არიან სიტყუანი მისნი, ხოლო აღ-თუ-დგეს, რად ცუდად ღმრთისმბრძოლ იქმნებით, ცოფნო და უგულისჴმონო? ვისმინოთ უკუე სიტყუანიცა პილატესნი:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ :** „**ჴრქუა მათ პილატე: გაქუს თქუენ დასისაგანნი; ნარვედით და დაჴკრძალეთ, ვითარცა იცით. ხოლო იგინი მოვიდეს და დაჴკრძალეს საფლავი იგი და დაჴბეჭდეს ლოდსა დასისა თანა**“ (27,65-66).

თ ა რ გ მ ა ნ ი : არა ინება პილატე, რადთამცა მჴედართა ოდენ დაჴკრძალეს. რამეთუ ესმოდა რად სიტყუად ესე აღდგომისად, ესრეთ განაგო, რადთა არარად აქუნდეს მათ სიტყუად. რამეთუ უკუეთუმცა დასისაგანთა მათ დაეკრძალა მართოდ, აქუნდამცა ჴურიათა სიტყუად ცუდი, თუ: დასისაგანთა მათ განსცეს. ამისთვის ეტყუს პილატე: ნარვედით, თქუენ თვთ დაჴკრძალეთ, ვითარცა იცით; ვინადთგან ცოცხალთა მაგათ მკუდრისა მისგან გეშინის, გაქუს დასისაგანნი, განენყვენით ერთისა მიმართ მრავალნი ეგე, დაჴკრძალეთ მკუდარი იგი საშინელი თქუენ, ვითარცა გნებავს. გნებავს თუ დაბეჭდვად, დაჴბეჭდეთ; გნებავს თუ ჯაჴვთა რკინისაათა შეკრვად, შეკართ კარი იგი საფლავისად. ნუ იტყვთ უკუანაღსკნელ, თუ: ესე რადმე დავაკლეთ ცვასა მას. ნარვედით, დაჴკრძალეთ, ვითარცა იცით. უკუეთუ ვინ მონაფეთაგანი ნაზარეველისაათა მოვიდეს, მახვლითა მოკალთ. დადევით და სცევდით უცთომელად, რადთა არარად იყოს მიზეზი ანუ შიში ნარპარვისად გუამისა მის იესუდსი.

მაშინ მიიხუნეს მთავრისაგან დასისაგანნი იგი მტერთა მათ ჭეშმარიტებისათა, მიიწინეს საფლავად უფლისა, დაჴკრძალეს ლოდი იგი და დაჴბეჭდეს, დაუტევენს მცველნი ცვად და ნარვიდეს. და ყოველივე ესე იქმნებოდა უფროდსად სანამებელად ჭეშმარიტებისა. უკუეთუ არა, რად მოსაგონებელი იყო საქმე ესე, ვითარმედ: მოიპარონო მონაფეთა გუამი მისი „და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით“? ვიდრე მათ თანაღა იყო იესუ, იხილეს რად შეპყრობილი, დაუტევეს და ივლტოდეს; და შემდგომად სიკუდილისა და დაფლვისა მოვიდესმცაა ნარპარვად? ანუ იგინი, რომელთა ესმა მისგან, ვითარმედ მესამესა დღესა ეგულების აღდგომად, უკუეთუმცა არა იხილეს აღდგომილი, არამცა უფროდსად მტერობად მისა აღდგესა და თქუესმცა, ვითარმედ: გუაცთუნნა ჩუენ და გუყვნა მტერ ყოვლისა ერისა? და რადსათჴსლამცა ჴნმასნიდეს მისთვის ესე ვითართა ტყუილთა, რომელი არავის სადა უთქუამს დასაბამითგან? ანუ რომლითა საქმითა ჴელ-ყვესმცა ესე ვითარისა პირისა ქადაგებად? რომლისა ძალსა მინდობილ იყვნეს? თავთა თჴსათასა? რომლისა სიმდიდრესა, რომლისა ფილოსოფოსობისა სიტყუათა? კაცნი გლახაკნი და უსწავლენნი და მცირედნი და უნდონი. რომელი-იგი თავ იყო კრებულისა მათისა, ერთისა მჴევლისა სიტყუათაგან იძლია, და სხუანი იგი განიბნინეს მეოტნი. ანმცა ვითარ მოიგონეს გან-



სლვად კიდეთა ქუეყანისათა და ქადაგებად ტყუვილით აღდგომისა მისისად და წარდგომად წინაშე მეფეთა და მთავართა და განწყობად ბევრეულთა სატანჯველთა მიმართ? # უღმრთონო ჰურიანო! ვითარმცა შეუძლეს მღევანსა ამას საქმესა ჯელ-ყოფად, უკუეთუმცა არა ჭეშმარიტად აღდგომილ იყო უფალი და მიეცა მათდა ძალი უშიშობისა და კადნიერებისა? ესოდენნი სასნაულნი ქმნა უფალმან, და არა ჰრწმენა ერსა მას ჰურიათასა, არამედ ჯუარს-აცუეს იგი, და ან რომელითამცა სასოებითა ენება მონაფეთა დარწმუნებად მათდა, ვითარმედ აღდგა მკუდრეთით? არა ეგებოდა ესე. ნუ იყოფინ! არამედ აღდგა უფალი ჭეშმარიტად და მადლმან მისმან დაარწმუნა ყოველსა სოფელსა აღდგომად მისი. გარნა უკეთურებად ყოვლადვე ბრმა არს და მაცილობელ და უპირულთა საქმეთა მეტყუელ, ვითარ-იგი იყვნეს ჰურიანი, რომელთა დაჰკრძალეს და დაჰბეჭდეს საფლავი იგი და მცველნი დაადგინნეს ვიდრე მესამედ დღემდე. ამისთვისცა უფალი უადრეს აღდგა, რათა ყოველივე სიტყუად მიეღოს მათ. რამეთუ უადრეს აღდგომასა ბრალობად არა აქუნდა, ხოლო ნელიად აღდგომას იჭვ შეუჭდებოდა. რამეთუ უკუეთუმცა არა მაშინ აღდგომილ იყო, ვიდრედა მცველნი იგი მუნ სხდეს, არამედ აღსრულებულმცა იყო სრულიად მესამე დღე და წარსრულმცა იყვნეს მცველნი იგი, ჰპოებდეს უღმრთონი ჰურიანი უმეტესსა სიტყუასა.

ამისთვის უსწრვო აღსრულებასა მას მესამისა დღისასა, რამეთუ ჯერ-იყო, ვიდრედა მცველნი სცვიდეს, ყოფად აღდგომისა, რათა ყოველი სიტყუად მიეღოს მათ. ამისთვის დაჰკრძალეს მღელთმოდლუართა თვსითა ჯელითა საფლავი იგი და დაჰბეჭდეს და მცველნი დაადგინნეს. და არა ჰგლოდა შაბათსა შინა ესევეითართა საქმეთა ჯელ-ყოფად, არამედ ერთი ხოლო იყო საძიებელ მათა, რათამცა თვსი შური და უკეთურებად აღასრულეს და მძლე ექმნესმცა იესუს. გარნა ფრიად ბრმა იყვნეს და ცოფ, რომელ ამას ჰგონებდეს. არამედ რათა გამოჩნდეს, ვითარმედ ნეფსით ივნო, ამისთვის საფლავიცა დაიბეჭდა და მცველნი დადგეს, და ყოვლით კერძო ვერ უძლეს დაყენებად მისა, არამედ აღდგა ბრწყინვალედ და სუფევს უკუნისამდე.

## სწავლად 30

### მადლობისათვის ღმრთისა და სიყუარულისათვის მისისა

არამედ # დიდებული იგი და საკვრველი სიყუარული ღმრთისად, რომელი აჩუენა ჩუენ ზედა, განდგომილთა ამათ და ბოროტისმოდლუართა კაცთა. ჩუენთვის გარდამოჴდა ზეცით მხოლოდშობილი ძჳ ღმრთისად; იშვა წმიდისაგან ქალწულისა; იქცეოდა კაცთა შორის სრული ღმერთი და სრული კაცი; შეემშია ბუნებითა კაცობრივითა, მოენყურა, დაშურა, ჰყრობილ იქმნა,

ნარდგა სამშჯავროდ, იგუემა ჩუენთს, განიკიცხა, ჯუარს-ეცუა, ნავლელი და ძმარი მიილო, ლახურიტა იგუმირა, მოკუდა, დაეფლა; მაცთურით ხადოდეს მას ჰურიანი; დაებეჭდა საფლავი მისი; და ესე ყოველი ჩუენთს თავს-იდვა. აღდგა და მაცხოვნა ჩუენ – ნარწყმედულნი ესე. ეჰა რავდენი დიდებული ქმნა სიყუარულმან მისმან. მტერნი ესე და შეურაცხნი მეყსა შინა მყვნა შვილ ღმრთისა, განწმედილ ყოველთაგან ბოროტთა ჩუენთა. დიდებად სახიერებასა და კაცთმოყუარებასა მისსა!

და ან, საყუარელნო, ღირსად ნიჭთა მათ და ქველისმოქმედებათა მისთა და სიყუარულისა მის, რომელ შემყუარნა ჩუენ, ვაჩუენოთ ჩუენცა მოქალაქობად. დავიცვათ მშკდობად იგი და სინმინდე, რომელი მან მოგუცა. რამეთუ დიდ არიან პატივნი ესე და საღმრთო, და ჭეშმარიტად პატივნი არიან. ხოლო ამის სოფლისა პატივნი საწუთრო არიან და წარმავალ, საფასითა სყიდულნი და კაცთა მიერ მოკუდავთა მოცემულნი. ამისთს არცა ღირს არიან პატივად სახელის-დებად; რამეთუ სამოსელთა შინა და ერისა სიმრავლეთა არს ყოველი ძალი მათი. ხოლო ესე პატივი მშკდობისა და სინმინდისა და შვილებისა ღმრთისა არცა სიკუდილისა მიერ დაიწსნების, არამედ აქაცა სანატრელ-გუყოფს და მას საუკუნესა უმეტესად გამობრწყინდების ჩუენ ზედა. რამეთუ რომელმან მოცემული იგი ქრისტეს მიერ მშკდობად და სინმინდე და მაღლი შვილებისა უბინოდ დაიცვას, ფრიად უმდიდრეს და უბრწყინვალეს არს მეფეთა ქუეყანისათა, რამეთუ ამასვე ცხორებასა სასოებითა კეთილითა ცხონდების და თავისუფალ არს ყოველსავე შფოთისა და ამბოხებისაგან და აქუს სიხარული იგი სულიერი სამარადისოდ. და ნანდკლვე ჭეშმარიტსა სიხარულსა და მხიარულებასა სულისა-სა არა მთავრობად სოფლისა იქმს, არცა საფასეთა სიმრავლე, არცა დიდებად კაცობრივი, არცა ძალი ჯორციელი, არცა სამკაული სამოსელთა, არცა გარდარეულნი სანოაგენი, არცა სხუად რამე კაცობრივთა და წარმავალთა საქმეთაგანი, არამედ სათნობად სულიერი და გონებად კეთილი და წმიდა. ესენი იქმან ჭეშმარიტსა სიხარულსა. რამეთუ რომლისა გული წმიდა იყოს და გონებად მისი არა დასჯიდეს, იგი დაღაცათუ ძონძითა მოსილ იყოს და სიყმილითა იჭირვოდის, მარადის სიხარულსა შინა არს; ვითარცა-იგი შებლალული ცოდვითა, რომლისა გონებად დასჯილ იყოს, დაღაცათუ ყოველსა სოფლისა დიდებად და სიმდიდრე აქუნდეს, ყოველთა უუბადრუკეს არს და უსანყალობელეს.

ამისთსცა პავლე შიმშილითა და შიშულობითა გარდაიწდიდა დღეთა თვსთა და დღითი-დღე იტანჯებოდა, გარნა იხარებდა და მხიარულ იყო სულითა უფროდს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა და სანატრელ იყო ყოველთა მიერ. ხოლო აქაბ მეფე იყო და შუებითა მრავლითა ცხონდებოდა, გარნა ცოდვითა დაშჯილ იყო, იგლოვდა და სულთ-ითქუმიდა, და პირი მისი მჭუნვარე იყო. ამისთს ვიტყვ, საყუარელნო: უკუეთუ გუნებაგს სიხარულსა შინა სამარადისოსა ყოფად, განვემორნეთ ყოველისავე ცოდვისა

და ყოვლისავე უკეთურებისაგან და მოვიგოთ სათნოებად, რამეთუ ესრეთ იტყვს ნეტარი პავლე, ვითარმედ: „ნაყოფი სულისაჲ არს: სიყუარული, სიხარული, მშვიდობაჲ, სულგრძელებაჲ, სიტკბოებაჲ, სახიერებაჲ, სარწმუნოებაჲ, სიმშვიდე, მარხვაჲ“.<sup>1</sup> ან უკუე, საყუარელნო, ესე ნაყოფნი მოვიგნეთ ჩუენ შორის, რადთა აქაცა სიხარულითა და მხიარულებითა სულიერითა ვცხონდებოდით და მას საუკუნესა მივემთხვნეთ სასუფეველსა ცათასა მადლითა და კაცთმოყუარებითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რომლისა მიერ და რომლისა თანა მამასა შუენის დიდებაჲ სულით წმიდითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ღმერთო წყალობაჲაყრაჯხელო, ამის ცკბილაჲ მასწავლელისა მეოხებითა წყალობაჲ და შენდობაჲ ჩუენ როდვილოთა მოგუმაღლოენ.

ლორწვა-ყავთ, ძმანო.

---

<sup>1</sup> გალ. 5,22-23.

## თავი 1

სიტყუად ესე: „მწუხრი შაბათსა, რომელი განთენებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდანელი და სხუად იგი მარიამ ხილვად საფლავისა. და აჰა ძრვად იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისად გარდამოჴდა ზეცით, მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჴდა მას ზედა. იყო ხილვად მისი, ვითარცა ელვად, და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი“ (28,1-3).

გუაკურთხენ. უფალო! კურთხეულ არს სუფევად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

პირველად აღდგა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და მერმელა მოვიდა ანგელოზი, გარდააგორვა ლოდი იგი და დაჴდა მას ზედა; რამეთუ დედათა მათთვის იყო მოსლვად მისი, რადთა ახაროს მათ და აუწყოს აღდგომად უფლისად. და ქეშმარიტად ღირს იყვენეს ხარებასა მას ანგელოზისასა წმიდანი იგი დედანი, რამეთუ ესევეითარი აჩუენეს სიმჴნე და სარწმუნობაჲ მჴურვალე. # საკკრველი უცხოჲ! პეტრე, თავი იგი მონაფეთად, შეშინდა ერთისა მჴველისა სიტყუათაგან და უარ-ყო უფალი პირველ ჯუარ-ცუმი-სავე, და დედათა შემდგომად დაფლვისა დაივიწყეს ყოველივე უძღურებაჲ დედობრივი და მოვიდეს ახოვნებით საფლავისა ხილვად, რადთა ნუგეშინის-ეცეს მწუხარებასა მათსა. მოვიდეს ხილვად საფლავისა და ეშინოდა მიახლებაჲ შიშისა მისთვის მცველთაჲსა. ამისთვის შორითვე ცრემლოდეს და ურთიერთას ესევეითართა სიტყუათა ეტყოდეს: # საქმე საკკრველი! ვითარ იკადრეს უღმრთოთა მათ მღღელთმოდუართა და ფარისეველთა ესრეთ მიცემაჲ უფლისად სიკუდილად, რომელსა ზედა ვერცა ერთი შეჴჴადეს ბრალი? ვითარ არა შეძრწუნდეს ჯუარ-ცუმად, რომლისა ჯუარ-ცუმითა მზე დაბნელდა და ქუეყანად ძრწოდა? ვითარ არა განძღეს უკეთურებითა, არამედ შემდგომად სიკუდილისაცა მბრძოლ მისა არიან და საფლავსა მისსა სცვენ და გუაყენებენ უშიშად მისლვად და თაყუანის-ცემად საფლავისა მისისა და მიღებაჲ ნელსაცხებლისა და საკუმელისა? ხოლო უფალი აღდგა საფლავით პირველ მათისა მისლვისა და საფლავი იგი დაუტევა დაბეჭდული. მაშინ ბრძანებითა უფლისადთა გარდამოჴდა ანგელოზი ზეცით და, მო-რად-ინია საფლავსა მას ზედა დიდებულსა, პირველად შეარყია ქუეყანად საფუძველითგან, რადთა განაღძნეს მცველნი იგი და წინაშე თუალთა მათთა გარდააგორვოს ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა.

„იყო ხილვად მისი, ვითარცა ელვად“. რამეთუ სადა ღრუბელი ცოდვისად არა მიახლებულ იყოს, მუნ ბრწყინვალეებაჲ დიდი არს. „და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოვლი“. რამეთუ ღირსად საქმეთა მათ, რომელთა ქადაგებდა, ემოსა სამკაულიცა.

**„ხოლო საშინელებსაგან მისისა შეძრუნდეს მცველნი იგი და იქმნეს ვითარცა მკუდარნი“** (28,4). მაშინ წმიდანიცა იგი დედანი შიშით მიინინეს საფლავად, ხოლო ანგელოზმან შეურაცხ-ყვნა მცველნი იგი, დათხეულნი ქუეყანასა, ვითარცა მკუდარნი, რამეთუ არცა თუ ღირს იყვნეს ხილვასა მისსა. გარემიაქცია პირი თვისი მათგან და პირითა მხიარულითა მიხედნა დედათა მათ და ყოველივე შიში განაქარვა გულთაგან მათთა და ჰრქუა მათ:

**„ნუ გეშინინ თქუნ“** (28,5). ამათ ეშინოდენ, მცველთა, რამეთუ მტერნი არიან და მბრძოლნი, ხოლო თქუნ ნუ გეშინინ, არამედ გიხაროდენ და მხიარულ იყვნით, რამეთუ საქმე გიქმნიეს ღირსი გვრგვინისად. ნუ გეშინინ თქუნ! ერთისა უფლისა მონანი ვართ მეცა და თქუნ, ერთსა უფალსა ვადიდებთ.

**„ვიცი, იესუს ჯუარცუმულსა ეძიებთ“** (28,5), რომელმან კაცთათვის სირცხვლი იგი ჯუარისად დათრგუნა. ვიცი, იესუს ეძიებთ, რომელი-იგი ეძიებს მეძიებელთა მისთა, იესუს ეძიებთ, რომელი მახლობელ არს მათა, რომელნი ხადიან სახელსა წმიდასა მისსა.

**„არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა“** (28,6). და ამისთვის მოვივლინე მე, რადთა გახარო თქუნ აღდგომად მისი და ცრემლნი თქუნნი განვაქარვნი და გულნი თქუნნი მხიარულ-ვყვნე. „აღდგა, ვითარცა თქუა“. ჭეშმარიტ იქმნეს სიტყუანი იგი ჭეშმარიტებისანი, რად-იგი სიტყუთ თქუა, საქმით აღასრულა.

უკუდავი იგი ღმრთეებად მისი უკუდავად ეგო და ჟამსა მას ვნებისასა მოკუდავთა მათ ჴორცთა მისთა ძილი იგი სიკუდილისად მიიღეს. „მიწოლით მიიძინა, ვითარცა ლომმან“<sup>1</sup>, მეუფებით, და აღდგა ღმრთივეშენიერად. ვერ ცნეს მცველთა აღდგომად მისი და საფლავით გამოსლვად, რამეთუ ღირსვე არა იყვნეს აღდგომისა მისისა ხილვად; ვერ დააყენეს საკრველთა მათ საფლავისათა და ბეჭედთა რკინისათა აღდგომად მეუფისად. ვერ უძლო დაბრკოლებად სიკუდილმან მწსნელისა საფლავით გამოსლვასა; ჯოჯოხეთი განმწარდა, და ძრწოლად შეედევა მეკარეთა ჯოჯოხეთისათა, კლიტენი მათნი დაყარნეს და კარნი განახუნეს და ვერვინ იკადრეს დაყენებად მის თანა აღდგომილთა მათგანი.

**„აღდგა, ვითარცა თქუა“**. ვითარ გამოგითარგმანო აღდგომად უფლისად? რამეთუ საიდუმლოდ არს ჯუარ-ცუმად მისი, საიდუმლოდ არს დაფლვად მისი, საიდუმლოდ არს აღდგომად მისი. ყოველივე საქმე მისი საიდუმლოდ არს. ვითარცა იშვა დაბეჭდულთაგან ბჭეთა ქალწულებისათა, ეგრეთვე აღდგა დაბეჭდულისაგან საფლავისა და იქმნა პირმშო შესუენებულთად მეუფე ქრისტე. ვითარცა, იშვა რად, არა დაჰჴსნა ქალწულება დედისად, ეგრეთვე, აღდგა რად, არა შეძრნა ბეჭედნი საფლავისანი. ვერცა

<sup>1</sup> შდრ. დაბ. 49,9.

შობისა მისისა ძალ-მიც სიტყვით გამოთქუმად, ვერცა შჯულსა ამას და წეს-სა აღდგომისასა მივწუთები თქუმად.

ვხედავ აღდგომასა მისსა ჭეშმარიტსა და თაყუანის-ვსცემ. არა გამო-ვიკულებ, ვითარ იქმნა გინა თუ შობად, გინა თუ აღდგომად. თაყუანის-ვსცემ ადგილსა მას აღდგომისასა, დაღაცათუ სახე მისისა საიდუმლოხსად უალრეს ცნობათა არს. რომელსა ვხედავ, გიჩუენებ თქუენ და გულისწმა-გიყოფ.

**„მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დადევს უფალი“ (28,6).** რამეთუ ამისთვის გარდავაგორვე ლოდი ესე, არა თუ რაფთა მივსცე იესუს გზად გა-მოსლვად, რამეთუ არა უწმს შეწვენად ჩემი შეწვენასა მას ყოველთასა; არა-მედ პირველ გარდაგორვისა ლოდისა ამის „ლოდი იგი საკიდური“ აღდგა, ვითარცა ინება. გარნა ამისთვის მოვედ მე და გარდავაგორვე ლოდი ესე, რაფთა თქუენ იხილოთ ადგილი, სადა დადევს იგი, და ადიდებდეთ აღდგო-მილსა ქრისტესა.

„მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დადევს იგი“, და შემდგომად მცი-რედისა თავადსაცა თაყუანის-სცეთ.

მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა ეშმაკი სასიკუდინიედ მოიწყლა, სა-და სიკუდილი შეიმუხრა.

მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა აღდგომისა თქუენისა წესი და-ინერა.

მოვედით და იხილეთ ადგილი სამოთხისა უშუენიერესი და ყოვლისა სამეუფოხსა ტაძრისა უბრწყინვალესი.

მოვედით და იხილეთ საფლავი დუმილით მქადაგებელი ძალსა მას აღ-დგომილისასა.

შთაიხედენით ადგილსა ამას, რომელი იქმნა ბჭე უბრწყინვალისა, იხი-ლეთ ქუაბი, რომლითა ზეცად აღმალდით.

დასცხერით სულ-თქუმისაგან და ცრემლთა და ნუ ეძიებთ ცხოელსა მას მკუდართა თანა. არქუთ სიკუდილსა სიქადულით: „სადა არს, სიკუდი-ლო, სანერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაჲ შენი?“<sup>1</sup>

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „მოვედით, იხილეთ ადგილი, სადა დადევს იგი. და ად-რე წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა და აჰა წი-ნაგიძღვს თქუენ გალილევად, მუნ იხილოთ იგი. აჰა ეგერა გარქუ თქუენ. ხოლო იგინი წარვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დი-დითა, მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა“ (28,6-8).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: ამათ დედათა წინაფთვე ანუევს სული წმიდაჲ ხარებად მოციქულთა და ეტყუვს პირითა ესაია წინაფწარმეტყუელისაფთა: „დედანი ეგე მომავალნი ხილვად მოვედით“.<sup>2</sup> ამისთვისცა მირბიოდეს სიხარულით ხარებად მოციქულთა.

<sup>1</sup> 1 კორ. 15,55.    <sup>2</sup> ესაია 27,11.



სახარება: „და აჰა იესუ შეემთხვა მათ და ჰრქუა: გიხაროდენ!“ (28,9).

დასჯილი იგი ევა განმართლებულ არს, ექსორიაქმნილი ადამ მოწოდებულ არს, წყევად იგი განქარვებულ არს, სიკუდილი ძლეულ არს, ეშმაკი დაცემულ არს, მსახურნი მისნი სირცხვლეულ არიან, მბრძოლნი ძლეულ არიან, ჰურიანი მგლოარე არიან, ჯუარი ჩემი ბრწყინავს, საფლავი ძალსა ჩემსა ნამებს, უკუდავება კაცთა მიენიჭა, ჩემ მიერ ბუნება კაცთა განახლდა, ჩემ მიერ მკუდარნი ყოველნი აღდგეს. ესე არიან ნაყოფნი სამისა დღისა დაფლვისა ჩემისანი, ამისთჳს იხარებდით და მხიარულ იყვენით.

სახარება: „ხოლო იგინი შეუვრდეს ფერჯთა მისთა და თაყუანისსცეს მას. მაშინ ჰრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ; ნარვედით და უთხართ ძმათა ჩემთა, რადთა ნარვიდენ გალილევას და მუნ მიხილონ მე“ (28,9-10).

ჰხედავთა, ვითარ ძკრუჴსენებელად ძმად ჩემდა ვხადი, რომელთა დამიტევს მე ჟამსა ჯუარ-ცუმისასა? რამეთუ უწყი სულგრძელება, უწყი ტვრთვა უძღურებისა მონათა ჩემთაჲსა, უწყი ცოდვილთა მოქცეულთა შეწყნარება და შეწყალება.

„ნარვედით, უთხართ ძმათა ჩემთა, რადთა ნარვიდენ გალილევად და მუნ მიხილონ მე“.

ნარვიდენ გალილევად, იხილონ ტბად იგი, ვინაჲ მოვინადირენ იგინი და ვყვენ მესათხეველე და მონადირე კაცთა.

ესრეთ აღავსნა უფალმან სიხარულითა გულნი მათნი და ნათესავი იგი დასჯილი პატივსა დიდსა ღირს-ყო და ნარავლინა ხარებად მოციქულთა.

გარნა ან, ვინაჲთგან მადლითა ქრისტესითა ამას ადგილსა მოვიწინით და აღდგომისათჳს მისისა ვიწყეთ სიტყუად, ვთქუათ სხუაჲცა პირი, რომელსა ზედა ვიეთნიმე მორწმუნეთაგანნი უმეცრებისაგან შეორგულდებიან, რამეთუ იტყვან, თუ: ვითარ ერთისა ამის საქმისათჳს არა ერთი თხრობად აღწერეს წმიდათა მახარებელთა, არამედ რეცა წინააღუდგებიან ურთიერთას? ანუ რომლისაჲ ჯერ-არს დარწმუნება, რამეთუ არა ერთ არს სიტყუად მათი?

მათე იტყვს: „მნუხრი შაბათსა“; და იოვანე იტყვს: „ერთსა მას შაბათსა განთიად, ვიდრე ბნელდა იყო“;<sup>1</sup> და ლუკა იტყვს: „ცისკარსა მსთუად“;<sup>2</sup> ხოლო მარკოზ თქუა: „და ნიად განთიად, მერმე აღმოსლვასა ოდენ მზისასა“.<sup>3</sup> ან უკუე ესევითართა ამათ სიტყუათა ჴელ-ვყოთ განმარტებად ძალითა და მადლითა ქრისტესითა.

არა თუ ესრეთ თქუეს, საყუარელნო, წმიდათა მათ მახარებელთა, თუმცა ერთსა ეთქუა, თუ მნუხრი შაბათსა აღდგა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე,

<sup>1</sup> იოან. 20,1.

<sup>2</sup> ლუკ. 24,1.

<sup>3</sup> მარკ. 16,2.

და სხუასამცა ეთქუა, თუ შუალამეს ოდენ, და სხუასამცა ეთქუა, თუ ცის-კარსა მსთუად ანუ თუ აღმოსლვასა ოდენ მზისასა. უკუეთუმცა ესრეთ იყო სიტყუად მათი, ჭემმარიტად წინააღმდგომადმცა ჩნდეს ურთიერთას, გარნა არა აღდგომად უფლისად თქუეს სხუასა და სხუასა ჟამსა ყოფად, არამედ მოსლვისა მისთჳს დედათაჲსა იყო სიტყუად იგი მათი სხუასა და სხუასა ჟამსა მოსლვად საფლავად.

რამეთუ არა ერთგზის ოდენ მოვიდეს, არამედ მრავალგზის, და თითოეულმან მახარებელმან სხუად და სხუად მოსლვად მათი აღწერა და გამოაცხადა; რამეთუ, ვითარცა ვთქუ, მენელსაცხებლენი იგი რავდენგზისცა მოვიდეს საფლავად, ესმა ანგელოზთაგან, ვითარმედ: „აღდგა ქრისტე, არა არს აქა“; ხოლო ესე არცა ერთმან ანგელოზთაგანმან თქუა, თუ ოდეს ანუ რომელსა ჟამსა აღდგა. ან უკუე ქადაგებისაებრ მათისა ყოველნი აღვიარებთ, ვითარმედ ღამესა მას, რომელი განთენებოდა ერთშაბათად, რომელ არს წმიდაჲ კურიაკე, იქმნა აღდგომად უფლისად.

ხოლო გამონულიღვით ჟამი არავინ გუაუნყა, არამედ იცის იგი აღდგომილმან მან მხოლოდშობილმან ძემან ღმრთისამან, რომელი ჩუენთჳს განკაცნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, ჯუარს-ეცუა, დაეფლა, და აღდგა მესამესა დღესა. მან უწყის მხოლომან და დაუსაბამომან მამამან მისმან და სულმან წმიდამან.

რამეთუ მათე იტყვს: „მწუხრი შაბათსა, რომელი განთენებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდანელი და სხუად იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის“, <sup>1</sup> და გუაუნყებს, ვითარმედ ანგელოზი გარდამოჴდა ზეცით და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და პოვა უფალი აღდგომილი; და მცველნი იგი შეაძრწუნნა, ხოლო დედათა ახარა აღდგომად და აუნყა, ვითარმედ პირველ ზეცით გარდამოსლვისა ანგელოზისა მის აღდგა უფალი საფლავისა მისგან დაბეჭდულისა, ვითარცა-იგი მონაფეთაცა წარმოუდგა ბჭეთა ჴშულთა. <sup>2</sup> ამისთჳსცა ეტყოდა ანგელოზი: „ვიცი, რამეთუ იესუს ჯუარცუმულსა ეძიებთ. არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა“. <sup>3</sup> რომელ-ესე პირველ მისისა მოსლვისა აუნყებდა ყოფად აღდგომასა.

ხოლო „მწუხრი შაბათსა“ არა მიმწუხრსა მოასწავებს შემდგომად დასლვისა მზისა, არამედ გარდასლვასა ფრიადისა ღამისასა, რამეთუ ყოველსავე ღამესა მწუხრ ენოდების წერილთა შინა. ამისთჳსცა შესძინა, ვითარმედ: „რომელი განთენებოდა ერთშაბათად“, რომელ არს კურიაკე, რამეთუ მას ენოდების ერთშაბათ, და მის გამო მეორესა დღესა – ორშაფათ, და სამშაფათ, და ესრეთ შემდგომითი შემდგომად; ჩანს უკუე, ვითარმედ არა მწუხრისა ჟამსა იტყვს, არამედ განზოგებასა ღამისასა, გინა თუ უმეტესცა, იტყვს „მწუხრი შაბათსა“.

<sup>1</sup> მათ. 28,1.      <sup>2</sup> იოან. 20,19,26.      <sup>3</sup> მათ. 28,5-6.

და კუალად ესეცა უწყოდეთ, ვითარმედ უმეტესად ესრეთ პოვნილ არს აღწერილი სახარებათა შინა პირველთა: არა „მწუხრი შაბათსა“, არამედ „მწუხრი შაბათთა“, ესე იგი არს, აღსრულებასა შკდეულისასა. რამეთუ, ვითარცა ვთქუ, ყოველთა დღეთა ესრეთ ეწოდების: ერთშაბათ, რომელ არს კვრიაკე, ორშაბათ, სამშაბათ... ესრეთ ყოველსავე შკდეულსა. ხოლო „მწუხრი შაბათთა“, ესე იგი არს, აღსრულებასა შკდეულისასა, განთენებოდა რად ერთშაბათად, რომელ არს კვრიაკე, რაჟამს-იგი უმეტესი ნაწილი ღამისად წასრულ იყო, და მოწვეწულ ჟამი ქათმის ყვილისა, რომელი განთენებოდა ერთშაბათად (ამისთვისცა ღამესა მას აღდგომისასა ნელიად განწესებულ არს აღსრულებად მარხვისა და დანყებად სიხარულსა მას აღდგომისასა); მას უკუე ჟამსა მოვიდეს მარიამ მაგდანელი და სხუად იგი მარიამ საფლავად და იხილეს ზემოწსენებული იგი ანგელოზი, მჯდომარე ლოდსა ზედა.

ვიტყვთ უკუე, ვითარმედ სხუად იგი მარიამ წმიდად ღმრთისმშობელი იყო, რომელი-იგი არა განეშორა ჯუარსა, არამედ მუნ დგა, ვითარცა იოვანე იტყვს, და მან მიიღო პირველად ხარებად აღდგომისა. რამეთუ ჯერცა ესრეთ იყო, რამეთუ მასვე ასმიოდა პირველ: „გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა“,<sup>1</sup> და ან ანგელოზისაგან ეხარა აღდგომა უფლისა, და მერმე უფალი იხილა და ესმა მისგან: „გიხაროდენ!“ ღირსად და სამართლად იქმნა ესე საქმე.

ხოლო მარიამ მაგდანელი, მივიდოდა რად წმიდისა ღმრთისმშობელისა თანა, განკვრევილ იყო კაცობრივითა გულისსიტყვთა, და ვითარცა პეტრე, გამოიყვანა რად ანგელოზმან საპყრობილით და წარვლეს ბჭე ქალაქისა, მუნამდე ვერ იცოდა, თუ ჭემარიტ არს ხილვად იგი,<sup>2</sup> ეგრეთვე მაგდანელი ჰგონებდა, თუ ნუუკუე ჩუენებად იყო საქმე იგი, შეორგულდა და კუალად მიიქცა საფლავად „ერთსა მას შაბათსა განთიად, ვიდრე ბნელდა იყო“;<sup>3</sup> და ამას მოსლვასა იტყვს იოვანე.

რამეთუ ვითარცა-იგი შეუწდო უფალმან თომას თქუამად ურწმუნოებით, ვითარმედ: „უკუეთუ არა ვიხილო წელითა მისთა სახე იგი სამსჭუალთად და დავდვა წელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს“;<sup>4</sup> რადთა მისითა გამოძიებითა ჩუენ სარწმუნოებით დავემტკიცნეთ და ვცნათ, ვითარმედ წორციითა მით, რომლითა ივნო, აღდგა; ეგრეთვესახედ მაგდანელსაცა შეუწდო განკვრევისაგან შეორგულებად, რადთა უმეტესითა გამოძიებითა მისითა უმეტესად გამოცხადნეს აღდგომისა იგი საკვრელებად. ამით უკუე ესევითარითა გულისსიტყვთა მოიქცა მაგდანელი საფლავად და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა, ხოლო ანგელოზი არღარა იხილა მჯდომარე მას ზედა, ვითარცა პირველ. მაშინ უმეტესად დაამტკიცა გულისსიტყუად თვისი და შეჰრაცხა პირველი იგი ხილვად

<sup>1</sup> ლუკ. 1,28.

<sup>2</sup> საქმე 12,7-11.

<sup>3</sup> იოან. 20,1.

<sup>4</sup> იოან. 20,25.

უცნებად. ამისთვისცა „რბიოდა და მოვიდა სიმონ-პეტრესა და სხვსა მის მოწფისა, რომელი უყუარდა იესუს, და ჰრქუა მათ: აღიღეს უფალი ჩემი საფლავით, და არა ვიცით, სადა დადევს იგი“.<sup>1</sup> რამეთუ ამას შევიდა იქუსა, ნუუკუე ჰურიათა მიცვალეს იგი ადგილისა მისაგან.

ხოლო პეტრე და იოვანე მირბიოდეს საფლავად, ვიდრე ბნელა იყო, და იხილნეს განცხადებულნი სასწაულნი აღდგომისანი – ტილონი იგი მდებარენი, რომელ-იგი არა ეგებოდა ყოფად, უკუეთუმცა ვინ გუამსა მას წარიპარვიდა; რამეთუ მური იგი და ალოდ ესოდენ დამკრველ არიან, ვიდრელა შეუძლებელ არს ავად. რადასათვს უკუე შრომასამცა შეიმთხუევდა, რომელი-იგი წარიპარვიდა, რადათამცა ტილონი იგი აღჰვადნა?

ეგრეთვე სუდარისა მის, რომელი იყო თავსა მისსა, თვსაგან შეკეცა და ადგილსა ერთსა დადებდა აჩუენებდა უშფოთველობასა და არასწრაფასა მის საქმისასა, რომელ-ესე მპარავთა ვერ ჯელ-ენიფების ქმნად.

ესე ყოველი საიდუმლოდ იხილეს პეტრე და იოვანე თუალითა სულიერთითა და სამოციქულოთა, რამეთუ სავსე იყო ნათლითა საფლავი იგი, ვიდრელა ბნელსა მას შინა ღამისასა ბრწყინვალეობითა საღმრთოთა ხედიდეს სავსესა საფლავსა მას წმიდასა.

ამისთვისცა იხილეს და ჰრწმენა აღდგომად მცსნელისა; რამეთუ ხედიდეს ტილოთა მათ და სუდარასა, ვინადათ არლარა უჰმდა გუამსა მას, უხრწნელებით შემოსილსა, საწმარი იგი საზრდელისა და სამოსელთად, დაღაცათუ განგებულებით, კაცთა შორის რად იქცეოდა, ნეფსით იმარნა ესევითარნი ესე უბრალონი წესნი ბუნებისა ჩუენისანი; გარნა ან, შემდგომად აღდგომისა, არა საწმარ იყენეს მისდა სამოსელნი, რამეთუ იგი არს, რომელსა „ჰმოსიეს ნათელი, ვითარცა სამოსელი“,<sup>2</sup> და დიდებდა იგი ღმრთივშუენიერი აცკეს, და არს ჭემმარიტად სრული ღმერთი და სრული კაცი, უაღრეს ბუნებათა.

ესრეთ უკუე პეტრეს და იოვანეს ჰრწმენა და წარვიდეს, ხოლო მარიამ მაგდანელი დაშთა ადგილობანს, საფლავსა მას თანა დიდებულსა, და ტიროდა, რამეთუ ჯერეთ იჭუეულ იყო აღდგომისათვს, განგებულებით, რადათამცა თვსითა თუალითა იხილა უფალი.

„და ვითარ ტიროდა, შთახედა საფლავსა მას და იხილნა ორნი ანგელოზნი, სპეტაკითა მოსილნი, მსხდომარენი ერთი თავით და ერთი ფერჯით, სადა-იგი იდვა გუამი იესუდსი“.<sup>3</sup>

ჯერ-უკუე-იყო გლოვისა მის შეცვალეზად სიხარულად, ხოლო იგი მერმელა ტიროდავე, ვიდრელა ანგელოზთა რეცა ბრალობით ჰრქუეს: „დედაკაცო, რადასა სტირ?“<sup>4</sup> რამეთუ არა ჯერ-არს ხილვასა ამას ზედა ჩუენსა გლოვად, არამედ სიხარული. ხოლო მან ჰრქუა მათ იჭვ იგი გული-სა თვსისად, რომელი აქუნდა: „რამეთუ აღიღეს უფალი ჩემი საფლავით,

<sup>1</sup> იოან. 20,2.

<sup>2</sup> ფსალმ. 103,2.

<sup>3</sup> იოან. 20,11-12.

<sup>4</sup> იოან. 20,15.

და არა უწყი, სადა დადევს იგი“.<sup>1</sup> ამას რად იტყოდა, გამოჩნდა უფალი. იხილეს იგი ანგელოზთა მათ და მოწინებით შეშინდეს. იხილა დედაკაცმან მან სახე იგი მოწინებისა მათისა და მიიქცა გარე ხილვად, თუ რადასათეს განკურდეს იგინი, „და იხილა იესუ მდგომარე“. გარნა ანგელოზთა სხვთა სახითა – დიდებისადათა – ეჩუენა და განაკვრვნა, ხოლო დედაკაცსა მას არა ესრეთ, რადთა არა განცვბრდეს. ამისთვისცა ვერ იცნა, ვითარმედ იესუ არს. „ჰრქუა მას იესუ: დედაკაცო, რადასა სტირ? ვის ეძიებ? მას ეგონა, ვითარმედ მემტილე იგი არს; ჰრქუა მას: უფალო, უკუეთუ შენ აღილე იგი, მითხარ მე, სადა დასდევ იგი, რადთა მე წარმოვილო იგი“.<sup>2</sup>

ნუუკუე არა უჯეროდ შეჰრაცხა იგი მემტილედ, რამეთუ იგი არს მუშაკი სამოთხისა, ჭემმარტი და უკუდავი, რომელმან მტილსა მას საფლავისასა განკურნა ურწმუნობაჲ დედაკაცისაჲ, და დედაკაცისა მიერ ცთუნებული იგი პირველი მემტილე სამოთხისაჲ, ადამ, დაძუელებული განაახლა.

ესრეთ ყოველნივე სიტყუანი სახარებისანი სავსე არიან საღმრთოთა საიდუმლოთა. არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

ესე რად ჰრქუა დედაკაცმან უფალსა, მიექცა კუალად ანგელოზთა მათ კითხვად, თუ რად ესრეთ განკურდეს. მაშინ სახიერმან მან უწოდა და ჰრქუა: „მარიამ!“ ხოლო მან იცნა ჳმად მისი განგებულებითა უფლისადათა და მეყსეულად მიიხილა გარე და ჰრქუა: „რაბუნი! რომელსა ჰრქვან მოძლუარ, და მირბიოდა შემთხუევად მისა. ჰრქუა მას იესუ: ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ მამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა“.<sup>3</sup> რამეთუ ვინაფთგან მოვილე ბუნებაჲ კაცობრივი და ვიქმენ პირმშო მრავალთა შორის და წინამძლუარ ცხობებისა, არა მრცხუენის ძმად წოდებად თქუენდა.

ამისთვისცა ბუნებითა მით, რომელი მოვილე კაცთაგან, აღვალ მამისა ჩემისა, რომელი-ესე ბუნებითა ღმრთეებისადათა მარადის განუშორებელ ვარ მისგან; არამედ ბუნებითა მით კაცობრივითა ვიტყვ აღსლვად მამისა ჩემისა ბუნებითა ღმრთეებისადათა, და ღმრთისა ჩემისა – ბუნებისა ამისთვის კაცობრივისა. რამეთუ უკუეთუმცა არა მე მომელო ბუნებაჲ ესე, და უცოდველად დაცვითა მისითა ქმნილ იყო ღირს ღმრთისა და მამისა სათნო-ყოფად, არამცა წოდებულ იყო იგი თქუენდა მამა და ღმერთ, რომელნი-ეგე უცხოქმნილ იყვნით მისგან სიმრავლითა ბრალთადათა.

„მოვიდა მარიამ მაგდანელი თხრობად მოწაფეთა მისთა, რამეთუ იხილა უფალი და ესრეთ ჰრქუა მას“.<sup>4</sup> აქამდე აღწერა იოვანე.

ხოლო ესე თხრობაჲ მიუთხრა რად მოციქულთა მაგდანელმან, პოვნა კუალად, ვითარცა ლუკა აღსწერს, მარიამ იაკობისი და იოჰანა და სხუა-

<sup>1</sup> იოან. 20,13.

<sup>2</sup> იოან. 20,15.

<sup>3</sup> იოან. 20,16-17.

<sup>4</sup> იოან. 20,18.

ნი მათ თანა, განმზადებულნი საკუმეველითა და სურნელებითა მისლვად საფლავად უფლისა, ცისკარსა მსთუად, ესე იგი არს, განთიადისა ჟამსა, და შეერთო იგიცა მათ თანა სურვილითა მით მჭურვალითა და წარჰყვა საფლავად დუმილით და არარას იტყოდა, რად-იგი იხილა, არამედ მო- ელოდა საქმით გამოჩინებასა ჭეშმარიტებისასა, რადთა მათცა იხილონ თუალითა და ჰრწმენეს.

და მო-რად-ვიდეს, „პოვეს ლოდი იგი გარდაგორვებული კარისა მისგან საფლავისა. და შევიდეს შინა და არა პოვეს გუამი იგი უფლისა იესუჲსი. და იყო, განზრახვასა მათსა ამისთვის და განკურვებასა, და აჰა ესერა ორ კაც ზედამოადგეს მათ სამოსლითა ელვარიითა და ჰრქუეს მათ: რასა ეძიებთ ცხოელსა მას მკუდართა თანა? არა არს აქა, არამედ აღ- დგა“<sup>1</sup>; და შემდგომი ამისი. და მიუთხრნესო სიტყუანი ესე ათერთმეტთა მათ და სხუათა ყოველთა, და არა ჰრწმენა მათი მრავალთა მათ მოყუას- თა, „არამედ უჩნდესო სიტყუანი მათნი, ვითარცა სირქურისანი, მათ წინა- შე. ხოლო პეტრე აღდგა და მირბიოდა კუალად საფლავად და შთახედნა და იხილა ტილონი იგი მდებარენი“, ვითარცა იხილვა პირველცა. ამისთვის არლარა იწმარა შესლვად შინა, არამედ „წარვიდა თესაგან და უკვრდა საქ- მე იგი“<sup>2</sup> და აღიდებდა უფალსა.

ხოლო მარიამ მაგდანელმან ვითარცა პირველ პოვნა იოჰანა და სხუანი იგი ცისკარსა მსთუად და თანაწარჰყვა საფლავად, ეგრეთვე კუალად პო- ვა სალომე, სხუად დედაკაცი, ვითარცა მარკოზ იტყუს, და მარიამის თანა იაკობისა იყიდეს ნელსაცხებელი და წარვიდეს საფლავად „ნიად განთიად, აღმოსლვასა ოდენ მზისასა“<sup>3</sup>, უკუანადსკნელ სხუათასა, რამეთუ ესე მო- სლვად ამათ დედათა უკუანადსკნელ ყოველთა მოსლვათა იყო.

„და იტყოდეს ურთიერთას: ვინ გარდაგვგორვოს ჩუენ ლოდი იგი კა- რისა მისგან საფლავისა? და მიხედნეს და იხილეს, რამეთუ გარდაგორვე- ბულ იყო ლოდი იგი, რომელი იყო დიდ ფრიად“<sup>4</sup>.

ხოლო ესე სიტყუად სალომესი არს, რომელი არლა მოსრულ იყო სა- ფლავად, და სხუათა მათ დედათა ეტყოდა; რამეთუ იგინი, რომელნი პირ- ველცა მოსრულ იყვნეს და ეხილვა გარდაგორვად ლოდისად მის, არა ეგე- ბოდა მათგან თქუმად ესე, არამედ სალომესი არს სიტყუად ესე.

ხოლო მი-რად-ინინეს საფლავად და შევიდეს მარიამნი იგი და სალო- მე, „იხილეს ჭაბუკი მჯდომარე მარჯუენით კერძო, შემოსილი სამოსლითა სპეტაკითა, და განჰკრთეს“<sup>5</sup>. რამეთუ უმეტეს სხუათასა იყო სალომე უს- ნავლელ, ამისთვის ხილვითა ბრწყინვალითა იხილა ანგელოზი, რადთა ცნას გონიერად დიდებად უფლისად.

ამისთვის ჰრქუა მათ ანგელოზმან: „ნუ განჰკრთებით! იესუს ეძიებთ ნაზარეველსა, ჯუარცუმულსა; აღდგა, არა არს აქა. აჰა ადგილი, სადა

<sup>1</sup> ლუკ. 24,2-6.

<sup>2</sup> ლუკ. 24,12.

<sup>3</sup> მარკ. 16,2.

<sup>4</sup> მარკ. 16,3-4.

<sup>5</sup> მარკ. 16,5.



დადევს იგი. არამედ წარვედით და უთხართ მონაფეთა მისთა და პეტრეს, ვითარმედ: აჰა ეგერა წინაგიძღვს თქვენ გალილევას, მუნ იხილოთ იგი, ვითარცა გრქუა თქვენ. და მათ ვითარცა ესმა ესე, გამოვიდეს და ივლტოდეს მიერ საფლავით, რამეთუ შეშინებულ იყვნეს და დაკვრებულ და არარად ვის უთხრეს, რამეთუ ეშინოდა“.<sup>1</sup>

შეშინებულ იყვნესო და დაკვრებულ საშინელებისა მისგან ჭაბუკისა მის და არარად ვის უთხრესო, რამეთუ ეშინოდა, რამეთუ განთენებულ იყო და ჰურიანი მიმოვიდოდეს, უფროსად ვინაფთგან მცველთაცა ეთხრა თხრობად იგი აღდგომისად და გარდაგორვებად ლოდისად ანგელოზისა მიერ.

ხოლო ესეცა პოვნილ არს სახარებასა მარკოზისსა, ვითარმედ: „აღრაფ-დგა იესუ, განთიად პირველსა შაბათისასა განეცხადა პირველად მარიამს მაგდანელსა“.<sup>2</sup> ვინაფთგან ჟამი იგი აღდგომისად სხუამან არცა ერთმან თქუა, ვითარ იტყვს მარკოზ ამას? გარნა უკუეთუ გონიერად ვინ წარიკითხოს, ესეცა მსგავსად სხუათასა იტყვს.

რამეთუ ესრეთ იტყვს: „აღრაფ-დგა იესუ“. აქა ჯერ-არს განსუენებად სიტყვასად. და მერმე იტყვს: „განთიად პირველსა შაბათისასა განეცხადა პირველად მარიამს მაგდანელსა“. ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ: განეცხადა მარიამს განთიად პირველსა შაბათისასა; რამეთუ მას განეცხადა პირველ, სხვსა მის მარიამის თანა, ვითარცა მათეცა გუაჟნყებს.

საცნაურ არს უკუე, ვითარმედ ოთხგზის იქმნა მოსლვად მენელსაცხებლეთად საფლავად, და თითოეული მოსლვად თითოეულმან მახარებელმან აღწერა განგებითა სულისა წმიდისადათა.

მათე აღწერა მოსლვად მარიამ მაგდანელისად და სხვსა მის მარიამისად მწუხრი შაბათსა; და ანგელოზსა ერთსა იტყვს, რომელი გარდამოჴდა ზეციით და გარდააგორვა ლოდი იგი.

ხოლო იოვანე მარიამ მაგდანელისა მხოლოდ იტყვს საფლავად მოსლვასა განთიად, ვიდრე ბნელა იყო, და ვითარმედ ორნი ანგელოზნი იხილნა მსხდომარენი საფლავსა მას შინა, სპეტაკითა მოსილნი.

ხოლო ლუკა კუალად მარიამს მაგდანელსა და მარიამს იაკობისსა და იოჴანას და სხუათა ვიეთმე მათ თანა გკთხრობს ცისკარსა მსთუად მოსლვად საფლავად, და ვითარმედ „შევიდესო საფლავად და არა პოვეს გუამი უფლისა იესუდსი. და აჰა ესერა ორ კაც ზედამოადგეს მათ სამოსლითა ელვარიითა“.

ამათ თანა მარკოზცა იტყვს კუალად მარიამ მაგდანელსა და მარიამ იაკობისსა და სალომეს მოსლვად საფლავად აღმოსლვასა ოდენ მზისასა; „და შერაფ-ვიდეს საფლავად, იხილეს ჭაბუკი მჯდომარე მარჯუენით კერძო, შემოსილი სამოსლითა სპეტაკითა“.

<sup>1</sup> მარკ. 16,6-8.

<sup>2</sup> მარკ. 16,9.

ან უკუე გულისწმის-ყოფით გამომეძიებელსა ძალ-უც ყოველთა ამათ თხრობათა ერთგუამ განუყოფელად ყოფად, რამეთუ ოთხგზის მოსლვად იგი დედათაჲ ოთხთა მათ მახარებელთა თითოეულად აღწერეს, რომელი-იგი სხუასა და სხუასა ჟამსა იქმნა და სხვთა და სხვთა ხილვითა ანგელოზთაჲთა.

ესრეთ უკუე ჩანს განცხადებულად, ვითარმედ არცა ერთი რაჲ არს განწვალებაჲ და წინააღდგომად მათ შორის, არამედ უფროსლა საცნაურ არს, ვითარმედ მრავალსახითა მით ხილვითა ანგელოზთაჲთა სარწმუნო-ყო უფალმან დიდი იგი საიდუმლოჲ აღდგომისა თვისისა დიდებულისაჲ.

ხოლო ვინაჲთგან მრავალთა მარიამთა წსენებაჲ ითქუმის სახარებათა შინა, უწყებაჲ ჯერ-არს, ვითარმედ ყოველნივე იგი სამნი არიან, რომელნიცა იოვანე ერთბამად თქუა, ვითარმედ: „დგეს ჯუარსა თანა იესუესსა დედაჲ მისი და დაჲ დედისა მისისაჲ, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდანელი“.<sup>1</sup>

ხოლო რომელ იტყვან სხუანი მახარებელნი, თუ: „მარიამ იაკობისი“, ვითარცა ზემო ვთქუთ, ღმრთისმშობელი არს, წმიდაჲ ქალწული მარიამ, და სხუად არავინ. რამეთუ ვითარცა-იგი დაფარვისათჳს უშჯულოთა ჰურიათაგან უთესლოჲსა მის და უხრწნელისა შობისა, რომელი-იგი სულისა მიერ იქმნა წმიდისა, ესრეთ განაგო უფალმან, რაჲთა მითხოილ იყოს ქალწული იგი იოსებისა, და ამით წესითა სახელ-სდებს მას მახარებელი ქმრად მარიამისა, და ჰურიანი უწოდდეს მას მამად იესუესა; და ძეთა მათ მისთა, რომელნი ჭეშმარიტისა მის ცოლისა მისისაგან იყვნეს, რომელიცა აღსრულებულ იყო, უწოდდეს ძმად უფლისა.

ამისთვისცა, ოდეს-იგი გმოზდეს მაცხოვრისათჳს ჰურიანი, იტყოდეს, ვითარცა წერილ არს სახარებასა: „ვინაჲ არსო ამისა სიბრძნე ესე და ძალი? ანუ არა ესე არსა ხუროჲსა მის ძე? ანუ არა დედასა ამისსა ჰქვან მარიამ? და ძმანი მისნი იაკობ და იოსე და სიმონ და იუდა? და დანი მისნი არა ყოველნი ჩუენ შორის არიანა?“<sup>2</sup>

იოვანე უკუე, ვინაჲთგან ესრეთ განწესებულ იყო სულისაგან წმიდისა, რაჲთა კადნიერებით ღმრთისმეტყუელებდეს, ამისთვის ჯუარსა თანა დგომასა რაჲ წმიდისა მის ქალწულისასა აწსენებდა, ჭეშმარიტი იგი სიტყუად თქუა და განცხადებულად დედად იესუესა სახელ-სდვა და ქადაგა.

ხოლო სხუანი მახარებელნი უმეტესად კაცებისა მისისა განგებულე-ბასა აღსწერენ. ამისთვის სიტყუსაებრ მათ ერთაჲსა და განგებულებისა მისთვის – დაფარვისა უხრწნელისა მის შობისა, ვითარცა-იგი მათ ჟამთა სახელ-სდებდეს კაცნი მარიამს ცოლად იოსებისა და დედად იაკობისა და ძმათა მისთაჲსა, ეგრეთვე აღწერესცა.

გარნა ქალწულებით შობად და სულისაგან წმიდისა მიდგომილე-ბად მათცა გუაუწყეს, ვითარცა იტყვან მათე და ლუკა განცხადებულად,

<sup>1</sup> იოან. 19,25.

<sup>2</sup> მათ. 13,54-56.

არამედ ჩუეულებსამებრ სიტყვსა მაშინდელთაჲსა უწოდეს მას „მარიამ იაკობისა“; და მარკოზ თქუა: „მარიამ იოსესი“, რამეთუ ესე ორნი იყვნეს პირმშონი ძენი იოსებისნი – იაკობ და იოსე. ესე აქამდის.

ხოლო სხუასაცა სიტყუასა ვიეთნიმე გამოეძიებენ; მისიცა ჯერ-არს განმარტებად. რამეთუ იტყვან, თუ: ვითარ უფალმან უბრძანა მენელსაცხებლეთა მათ დედათა ანგელოზისა მიერცა და მერმე კუალად თვსითა პირითა, ვითარცა მათე იტყვს, წარსლვად გალილეად და მუნ ხილვად მისა? ხოლო იოვანე გვთხრობს:

„და ვითარცა შემწუხრდარ დღე იგი ერთშაბათთაჲ მათ, და კარნი ვშულნი იყვნეს, სადა-იგი იყვნეს მოწაფენი დამალულ შიშისათვს ჰურიათაჲსა, მოვიდა იესუ და დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშკდობად თქუენ თანა!“<sup>1</sup>

და კუალად მერვესა დღესა ერუენა და თომა გულსავსე-ყო და ურუენნა ველნი მისნი და გუერდი.

ეგრეთვესახედ ლუკაცა იტყვს იერუსალჴმს ხილვასა მისსა, რამეთუ თქუა ორთა მათთვს, ვითარმედ: „აღდგეს მასვე დღესა შინა და მოიქცეს იერუსალჴმდ და პოვნეს კრებულად ათერთმეტნი იგი და სხუანი მათთანანი“,<sup>2</sup> და შემდგომი ამისი. და მერმე იტყვს: „ვითარ-იგი ამას იტყოდეს ოდენო, და თავადი იესუ დადგა შორის მათსა და ჰრქუა მათ: მშკდობად თქუენ თანა! მე ვარ, ნუ გეშინინ!“<sup>3</sup> და მერმელა ამისა შემდგომად წარვიდეს გალილეად. ამას გამოეძიებენ.

გარნა ადვილ არს ესე სიტყუად, რამეთუ საქმე იგი უმეტესსა სიმდიდრესა კაცთმოყუარებისა უფლისასა გამოაჩინებს.

რამეთუ არა თუ ეგრეთ თქუა, თუ: გალილესა ოდენ მიხილონ; არცა, ვინაჲთგან იერუსალჴმს ერუენა, გალილესა ჩუენებაჲ განაცრუა. ნუ იყოფინ! არამედ ორივე ქმნა სიმდიდრითა მით კაცთმოყუარებისაჲთა ჭემმარიტად. რამეთუ პირველად ჰრქუა მენელსაცხებლეთა: „უთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა წარვიდენ გალილეად და მუნ მიხილონ“.<sup>4</sup> ხოლო იგინი შიშისა მისთვს ჰურიათაჲსა შეყენებულ იყვნეს და ვერ იკადრეს მაშინ წარსლვად. ამისთვს ტკბილმან მან და მონყალემან უფალმან ჯერ-იჩინა ნუგეშინის-ცემად მათი და ერუენა მასვე დღესა ერთშაბათისასა მწუხრი კართა ვშულთა და აღავსნა იგინი სიხარულითა; და კუალად – მერვესა დღესა.

ამის ყოვლისა შემდგომად იქმნა წარსლვად მათი გალილეად და ხილვად მისი, რომელი-იგი მათე აღწერა, და სხუანი იგი ხილვანი სხუათა დაუტევნა აღწერად, ვითარცა განაგო სულმან წმიდამან. არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ და სახარებისა შეწყობილება ვაწესნოთ, ვითარცა მათე წარმოიტყვს:

<sup>1</sup> იოან. 20,19.

<sup>2</sup> ლუკ. 24,33.

<sup>3</sup> ლუკ. 24,36.

<sup>4</sup> მათ. 28,10.

სახარება: „და ესენი ვითარცა წარვიდეს, აჰა ესერა დასისა მის-  
განნი შევიდეს ქალაქად და უთხრეს მღვდელთმოდღუართა მათ ყოველი  
ესე, რაჲცა იქმნა. ხოლო იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა და ზრახვა-  
ყვეს, ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ და ჰრქუეს: ესრე თქუთ,  
ვითარმედ: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ  
მეძინა. უკუეთუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზ-  
რუნველ-გყვენთ. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს ეგრე, ვითარცა  
ისწავეს მათგან. და განითქუა სიტყუად ესე ჰურიათა შორის ვიდრე დღენ-  
დელად დღემდე“ (28,11-15).

თარგმანი: ამათ ერისაგანთათჳს იყო ძრვად იგი, რაჲთა გა-  
ნაკვრენეს იგინი და მოიყვანნეს გულისჴმის-ყოფად, და რაჲთა მათ მი-  
ერ იქმნას წამებად, ვითარცა-იგი იქმნა. რამეთუ უეჭუელ იყო მათმი-  
ერი თხრობად, ვითარცა თქუმულ არს, ვითარმედ: „მტერთამიერი წამე-  
ბად უეჭუელ არს“. დიდ იყვნეს და მრავალ მაშინ აღსრულებულნი იგი  
საკვრველებანი.

და რომელნიმე სახილველად ყოვლისა სოფლისა იქმნებოდეს: და-  
ბნელება იგი მზისად და ძრვად; და რომელნიმე ადგილობანს ოდენ, ვი-  
თარ აღებად იგი საფლავთად, და აღდგომად მკუდართად, და განპებად  
კრეტსაბმელისად, და გარდამოსლვად ანგელოზისად, და ძრვად ესე მე-  
ორე. რამეთუ პირველი იგი სასტიკი ძრვად და სოფლიოდ ჯუარ-ცუმასა  
უფლისასა იყო, ხოლო ესე დაღაცათუ დიდ იყო, არამედ ადგილობანს  
ოდენ იყო.

ხოლო განცკბრდეს რად მცველნი იგი და იქმნეს ვითარცა მკუდარნი  
საშინელებისა მისგან ანგელოზისა, რომელი მოვიდა ხარებად დედათა,  
ვინაჲთგან დედანი იგი წარვიდეს, ანგელოზი მიეფარა, მოეგნეს იგი-  
ნი თავთა თჳსთა და წარვიდეს და მიუთხრეს ბილნთა მათ მღვდელთ-  
მოდღუართა, რად-იგი იქმნა. არავე ინებეს მათ შეგონებად და მოქცე-  
ვად სინანულად, არამედ ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ და  
ჰრქუეს: „ესრეთ თქუთო, ვითარმედ მოწაფენი მისნი ღამით მოვიდეს და  
წარიპარეს იგი“.

ვითარ წარიპარეს? ჰ უცოფესნო უფროჲს ყოველსა ნათესავსა კაცთა-  
სა! ესოდენ ბრწყინავს ჭეშმარიტებად, ვიდრელა ყოვლადვე ვერ ჴელ-გენი-  
ფების დაფარვად, არამედ დაუჯერებელსა ტყუილსა ჴმანსით. თქუენ ესე  
პირველითგან გეზრუნა და მცველთა სიმრავლე დაგედგინა, ჰურიანიცა და  
ერისაგანნიცა მთავრისანი, ლოდი დიდი იყო კარსა საფლავისასა, ბეჭედნი  
ზედა იყვნეს, მოწაფენი მისნი გლახაკნი იყვნეს და მცირედნი და უსწავ-  
ლელნი და შეშინებულნი; ვითარ ჴელ-ყვეს საქმესა მას? ვითარ დაეფარნეს  
მცველთა მათ? ვითარ გარდააგორვეს ლოდი იგი უცნაურად, რაჲთამცა  
ესოდენთა მცველთა ვერ ცნეს?

ჰ დიდი იგი სიბრმე ჰურიათაჲ! სამართლად იტყოდეს, ვითარმედ: „იყოს უკუანაფსკნელი საცთური უძკრეს პირველისა“.<sup>1</sup>

ჭეშმარიტად უძკრესი პირველისა შეემთხვა მათ საცთური, რომელ ესევითარსა მას განცხადებულსა სასწაულსა ზედა არა ინებეს მოქცევაჲ სინანულად, არამედ ენება დაფარვაჲ აღდგომისა უფლისაჲ და შეჰმზადებდეს საკიცხელთა სიტყუათა.

პირველად იუდას მისცეს ვეცხლი და მოიყიდეს უფალი სიკუდილად და ყოველი ღონე იჴმარეს მოკლვად მისა; და კუალად, შემდგომად აღდგომისა მისისა, ვეცხლითავე მოიყიდეს ცილისწამებითა მით დაფარვაჲ აღდგომისაჲ. არამედ ჰრცხუენოდენ და კდემებოდედ მეტყუელნი იგი სიცრუისანი, რამეთუ მარადის თვისითა საქმითა ემხილების უშჯულოებასა მათსა.

უკუეთუმცა არა მისრულ იყვნეს პილატესსა და ეთხოვნეს მცველნი იგი, უმეტესად ძალ-ედვა ცილისწამებად, ხოლო ან სიტყუაჲ ყოველივე მიღებულ არს მათგან; რამეთუ ესრეთ ქმნეს ყოველივე, ვითარმცა განზრახვით ისწრაფდეს დაყოფად პირთა თვისთა.

თქუთლა, უშჯულონო, უკუეთუ ნანდკლვე წარპარვაჲ ენება მონაფეთა, რად არა მას ღამესა წარიპარეს, ოდეს არცა მცველნი იყვნეს, არცა ბეჭედნი?

რამეთუ დადვეს გუამი მისი საფლავსა პარასკევსა მწუხრი, და მას ღამესა მცველნი არა იყვნეს, ხოლო შაბათსა იქმნა დაბეჭდვაჲ საფლავისაჲ და დადგინებაჲ მცველთაჲ.

ანუ რაჲსათჳს მოსძარცუეს ტილონი იგი და სუდარი, მურითა და ალოთა დაკრულნი, და შიშუელი წარიპარეს, რომლისა-იგი მყოარ ჟამ უჴმდა ბრძოლაჲ აღჯდად? რამეთუ მური და ალოჲ ძლიერად დასწებვიდეს გუამსა ზედა სახუეველთა მათ. ჰ ცოფნო და უგუზუნონო! ანუ ვითარ იკადრეს მუნ მისლვად მონაფეთა, ანუ რაჲ სარგებელ ეყოფოდა ტყუილით აღდგომისა ქადაგებაჲ?

არამედ ბოროტთა მათცა მღდელთმოძღუართა იცოდეს, ვითარმედ საქმესა დაუჯერებელსა ჴელ-ჰყოფენ. ამისთჳს მისცეს ვეცხლი დიდძალი, რაჲთა დაარწმუნონ მცველთა მათ თქუმად სიტყუაჲ იგი ესევითარისა მის ტყუილისაჲ, და უქადეს მთავრისა მის დარწმუნებად და სიტყუაჲ იგი განთქუეს ბოროტსა მას და ბილნსა ერსა შორის ჰურიათასა.

ჰხედავა, ვითარ ყოველნივე იგი ეშმაკისა მიერ დაბნელებულნი იყვნეს და მიეცნეს თავნი თჳსნი მონებასა მტერისასა?

პირველად უშჯულონი იგი და უღმრთონი მღდელთმოძღუარნი და მწიგნობარნი და ფარისევლნი, მერმე პილატე, რომელმან დაუჯერებელი იგი დაირწმუნა და მცველნი იგი არა ტანჯნა დაფარვისა მისთჳს ჴეშმარიტებისა.

---

<sup>1</sup> მათ. 27,64.

ამათ თანა მცველნიცა იგი უკეთურნი, რომელთა მიიღეს ვეცხლი და ესევეთარისა მის ტყუილისა თქუმად არა შეიკდიმეს.

და ყოველივე იგი უგულისჴმოვ ერთი ჰურიათაჲ, რომელმან ესე სიცრუისა სიტყუად განთქუა და არა ჰრწმენა აღდგომაჲ უფლისაჲ.

ამათ ყოველთა ურწმუნოთა და უკეთურთა ჰრცხუენოდენ, ხოლო ჩუენ შემდგომი იგი სახარებისაჲ აღმოვიკითხოთ:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „ხოლო ათერთმეტნი იგი მონაფენი წარვიდეს გალილელად, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ. და იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას; ხოლო რომელნიმე შეორგულდეს“ (28,16-17).

თ ა რ გ მ ა ნ ი: ესე ხილვად გალილელაჲსაჲ უკუანადსკნელი არს, ოდეს-იგი უბრძანა განსლვად ქადაგებად. ამისთვის სხუანი იგი ყოველნი ხილვანი დაიდუმნა მათე: ჴშულთა მათ კართაჲ, და თევზობასა მას ტიბერიისა ზღვასა, და სხუად რავდენიცა იყო, და ამას ხოლო ავსენებს, რამეთუ მაშინ იხილეს იგი ყოველთა და თაყუანის-სცეს და მიიღეს ჴელმწიფებაჲ ნათლის-ცემად.

ხოლო რომელ იტყვს, თუ: „რომელნიმე შეორგულდეს“, იხილე აქაცა ჴეშმარიტებისმეტყუელებად მისი, ვითარ არცა ერთსა ნაკლულევანებათა მათთაგანსა დაჴფარავს. გარნა იგინიცა გულსავსე იქმნეს სიტყუთა უფლისაჲთა, ვითარცა ესერა იტყვს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „და მოუჴდა მათ იესუ, ეტყოდა მათ და ჰრქუა: მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“ (28,18).

თ ა რ გ მ ა ნ ი: კუალად კაცობრივთა სიტყუათა ეტყვს, რამეთუ არღა მოელო მათ სული წმიდაჲ, რადთამცა სრულიად აღმალლებულ იყვნეს გულისჴმის-ყოფითა.

რამეთუ რომელ-იგი აქუნდა ბუნებით, ვითარცა ღმერთსა, იტყვს, ვითარცა კაცი, განგებულებით, ვითარმედ „მომეცაო“, ვითარცა პირველ ვნებისაცა თქუა, ვითარმედ: „მადიდე მე, მამაო, თავისა შენისა თანა დიდებითა მით, რომელი მაქუნდა მე წინაშე შენსა პირველ სოფლისა ყოფისა“.<sup>1</sup>

ჴხედავა, ვითარმედ რომელი-იგი მარადის აქუნდა, ვითარცა ღმერთსა, ან ბუნებისა მისთვის კაცობრივისა თქუა, ვითარმედ: „მადიდე მე“. რამეთუ სრული ღმერთი იყო და სრული კაცი, ორითა ბუნებითა, ერთი ქრისტჴ, უფალი ჩუენი და ღმერთი. ეგრეთვესახედ ან თქუა, ვითარმედ: „მომეცა მე ყოველი ჴელმწიფებაჲ“, ბუნებისა მისთვის, რომელი ჩუენგან მიიღო.

**ს ა ხ ა რ ე ბ ა დ:** „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა

<sup>1</sup> იოან. 17,5.



## წმიდისადათა, და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რავდენი გამცენ თქუენ“ (28,19-20).

თ ა რ გ მ ა ნ ი: „ნათელ-სცემდითო სახელითა მამისადათა და ძისადათა და წმიდისა სულისადათა, და ასწავებდით დამარხვად ყოველი, რავდენი გამცენ თქუენ“; ესე იგი არს, სარწმუნოებისათჳსცა მართლისა და საქმეთათჳს კეთილთა, რამეთუ ესე არს მცნებად მისი.

პირველად, რადათა მართლმადიდებლობით და მართლალსაარებით აღვიარებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, სამგუამოვნებით შეურევნელსა და ერთარსებით განუყოფელსა, ერთსა ღმრთეებასა, ერთსა ძალსა, ერთსა ნებასა, ერთსა ჴელმწიფებასა, ერთსა უფლებასა, ერთსა მეუფებასა, სამითა თვთებითა თაყუანისცემულსა.

მამასა უშობელსა, რომელი-იგი არს ყოველთა მიზეზი უმიზეზოდ და ყოველთა დამბადებელი, ხილულთა და უხილავთა, ერთისა ხოლო მამად, ძისა მის მხოლოდშობილისა, უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, და გამომავლინებელი სულისა წმიდისა.

ძესა მხოლოდშობილსა ღმრთისასა, უფალსა ჩუენსა იესუ ქრისტესა, რომელი-იგი იშვა მამისაგან უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, უჟამოდ და დაუსაბამოდ, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭემმარიტი ღმრთისაგან ჭემმარიტისა, თანაარსი მამისა, წყაროდ ცხორებისა, სიბრძნე და ძალი, ხატი შეუცვალელებელი უხილავისა ღმრთისა, მამისაგან შობილი ძე, ცხოველი იგი სიტყუად, რომელი-იგი ღმერთი არს და ღმრთისა თანა არს. არს და იყო, არა თუ უკუანაჲს შემოვიდა, რომელი იყო წინა საუკუნეთა, ძჴ დაუსაბამოდ, არა თუ უკუანაჲს იქმნა, ძჴ არა დაბადებული, შემოქმედი არა ქმნული, ყოველივე არს, რად-იგი არს მამად, თვნიერ უშობელობისა.

ძჴ ვთქუ და მამად, რადათა თვთებანი გუამოვნობისანი გამოვაჩინნე. ჰკიეს უკუე ძეობასა შინა და ყოველივე არს, რად-იგი არს მამად, ვითარცა თქუა თავადმან უფალმან: „ყოველივე, რომელი აქუს მამასა, ჩემი არს“,<sup>1</sup> და მახარებელი იოვანე იტყჳს: „ვიხილეთ დიდებად მისი, დიდებად ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ“.<sup>2</sup>

ესე იგი არს, ვითარმედ არა ნიჭითა და მადლითა მიეცნეს მას სასწაულნი, არამედ ზიარებითა მით ბუნებითითა აქუს ძესა მამულისა მის ღმრთეებისა ჰატივი, რომელი-იგი განუშორებელად და უჟამოდ მამისა თანა მყოფ არს, სწორი სახიერებითა, სწორი ძალითა, ზიარი დიდებისა; და რადმცა იყო სხუად, გარნა ბეჭედი და ხატი, რომელი ყოვლითურთ მამასა თავსა შორის თჳსსა გამოაჩინებს.

ხოლო რავდენნიცა სიტყუანი თქუმულ არიან ბუნებისა მისგან კაცობრივისა მისისა, გულისწმის-ყოფად ჯერ-არს, ვითარმედ ცხორებასა

<sup>1</sup> იოან. 16,15.

<sup>2</sup> იოან. 1,14.

ჩუენსა განაგებს, რომელი გამოგზნდა ჩუენ ჳორცითა. რაჟამს-იგი იტყოდის თავსა თჳსსა მოვლინებულად, და ვერარაჲსა შემძლებელად თავით თჳსით ყოფად, და მიმღებელად მცნებისა, და ვითარმედ „ღმერთი ჩემი“ და „ღმერთი თქუენი“, და „მამად უზეშთაეს არს ჩემსა“,<sup>1</sup> და წმიდა-ყოფად, და მონებად, და მორჩილებად, და მიცემად, და სწავლად, და მცნებისა მოღებად, და უმეცრებად, და ლოცვად, და კითხვად; და ამას ყოველსა თანა: დაძინებად, შიმშილი, დაშრომად, ცრემლობად, შეურვებად, ჯუარ-ცუმად და სიკუდილი.

რამეთუ ამის ყოვლისა არს ჯეროვანი თარგმანებად, გარნა მოკლედ ესე ჯერ-არს უწყებად, რაჲთა მალალთა მათ საქმეთა გულისჴმა-ვჴყოფდეთ ღმრთეებისათჳს და უენებელისა მის და უჳორცოჲსა ბუნებისა, ხოლო მდაბალთა მათ – კაცებისათჳს, რომელი-იგი ჩუენთჳს განკაცნა და ჳორციელ იქმნა, ჯუარს-ეცუა ჳორცითა, მოკუდა, დაეფლა და აღდგა და ამაღლდა, რაჲთა ჩუენცა აღგუამაღლნეს და გუასნაოს გულისჴმის-ყოფად, რაჲთა უწყოდით, თუ რომელნი არიან სიტყუანი იგი ბუნებისათჳს მისისა თქუმულნი და რომელნი არიან განგებულებისა მისთჳს კაცებისა მისისა.

რამეთუ რომელი-იგი კაც იქმნა, უნივთო იყო და უჳორცო; და რაჲ-იგი იყო, ეგრეთვე ეგო; და რომელი-იგი არა იყო, მიიღო ცხოვრებისათჳს ჩუენისა. არამედ წინამდებარისავე სიტყჳსა მომართ მოვიდეთ.

რამეთუ მამისა თანა და ძისა იდიდების და თაყუანის-იცემების სული წმიდად, რომელი-იგი განუშორებელ არს მამისაგან და ძისა.

რომელსა-იგი აქუს ყოველივე კეთილი შეერთებულად ბუნებით: სახიერებად, სინრფელე, სინმინდე, ცხოვრებად. რამეთუ თქუმულ არს: „სული შენი სახიერი“, და „სული წრფელი“, და „სული წმიდად“, და „სული ცხოვლსმყოფელი“.

ესე აღავსებს ანგელოზთა, აღავსებს მთავარანგელოზთა, წმიდა-ჴყოფს ძალთა, ცხოელ-ჴყოფს ყოველთა ცხოელთა.

ესე ყოველთა ზედა დაბადებულთა განფენილ არს, და არარაჲ მოაკლდების მას მიმღებელთა მათგან; ყოველთა თჳსსა მადლსა მისცემს და არა განილევის, არამედ მიმღებელნიცა იგი სავსე არიან მისგან, და იგი არს მოუკლებელ.

ესრეთ ჯერ-არს მართლმადიდებლობით აღსაარებად წმიდისა სამებისაჲ, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲ, ერთსა ღმრთეებასა და ძალსა, რომელი იპოების სამთა მათ შორის ერთობით, და სამთა მათ შემოჴკრებს სამგუამოვნებით განყოფილად, არცა აღორძნდების გარდამატებულებითა, არცა დააკლდების დამცირებითა, ყოვლითურთ სწორ არს, ყოვლით კერძო იგივე არს.

<sup>1</sup> იოან. 14,28.

სამთა მიუნთომელთა მიუნთომელი ერთობაჲ! თითოეული ღმრთად იხილვების, ვითარცა მამაჲ, ეგრეთვე ძჳ, ვითარცა ძჳ, ეგრეთვე სული წმიდაჲ. თითოეულისა თვთებაჲ დამარხულ არს.

ღმერთ არიან სამნივე ზოგად გულისწმისსაყოფელნი. ვერ ვენევი ერთისა გულისწმის-ყოფად და სამთა მათ მიერ განვბრწყინდები; ვერ შევენევი სამთა მათ განყოფად და ერთისა მიმართ აღვალ.

რაჟამს ერთი სამთაგანი ვიხილო, ეგრეთ ვჰგონებ, თუ ყოველივე ესე არს, და სახედველი ჩემი აღივსო, და უმეტესი იგი ვერ ვიხილე; ოდეს სამნივე იგი შემოვკრიბნე, ერთსა ბრწყინვალეებასა ვხედავ და ნათლისა მის განყოფად ვერ ძალ-მიც.

გარნა ამის ესევითარისა ღმრთისმეტყუელებისათჳს სხუათა მამათა უწინარეს ჩემსა ეგრეთვესახედ თქუეს მაღლად და შუენიერად, რომელთა თანა იყავნ ჩუენიცა ნაწილი.

და აწ მეცა ვნამებ წინაშე ღმრთისა და რჩეულთა ანგელოზთა მისთა, ვითარმედ ამით სარწმუნოებითა უბრძანა უფალმან მოციქულთა ნათელ-ცემად ყოველთა წარმართთა სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა.

ესე აღსაარებაჲ დაიცევ, მორწმუნეო, შეუცვალებელად ვიდრე აღსასრულადმდე, ვითარცა-იგი ნათელღებულ ხარ სახელითა მამისაჲთა და ძსაჲთა და სულისა წმიდისაჲთა; ხოლო ზოგადი სახელი სამთაჲვე ერთი არს – ღმრთეებაჲ.

გრწმენინ, ვითარმედ ყოველი ხილული და უხილავი დაბადებული არა-რაჲსაგან ღმრთისა მიერ დაებადა და განგებითა მით დამბადებელისაჲთა ჰგიეს, და ოდეს მან ბრძანოს, შეცვალებად არს ხილული ესე სოფელი უმჯობესად.

და ესეცა უწყოდე, ვითარმედ არა არს არსებაჲ რაჲმე ბოროტისაჲ და უკეთურებისაჲ, არცა მეუფებაჲ, არცა დაუსაბამო არს უკეთურებაჲ, არცა თავით თჳსით მოსრული, არცა ღმრთისაგან დაბადებული, არამედ ჩუენი საქმე არს იგი და ეშმაკისაჲ, რომელი მოინია ჩუენ ზედა არა თუ დამბადებელისგან, არამედ უკრძალველობითა ჩუენითა და უდებებითა.

კუალადცა ვთქუა სრულისა მისთჳს მართლალსაარებისა, ვითარცა წმიდათა მამათაგან მისწავიეს, რამეთუ კეთილ არს ამისთჳს თქუმაჲ.

გურწმენინ ყოველთა ძჳ ღმრთისაჲ, უწინარეს საუკუნეთა სიწყუაჲ, რომელი იშვა მამისაგან უჟამოდ და უწორცოდ, და იგივე უკუანაჲს-კნელთა ჟამთა იშვა ჩუენთჳს და ძე კაცისა იქმნა წმიდისა ქალწულისა და ღმრთისმშობელისა მარიაამისგან გამოუთქუმელად და უვნებელად და უბინოდ, ჯერ-ჩინებითა მამისაჲთა და თანაშენევნითა სულისა წმიდისაჲთა.

და გურწამს იგი ღმრთად სრულად და კაცად სრულად, ორითა ბუნებითა და ერთითა გუამითა.

გურნამს იგი უვნებელი ღმრთეებითა, და ივნო ჩუენგან მიღებული-  
თა მით ბუნებითა; რამეთუ კაც იქმნა, რადთა ჩუენ ღმერთ-გუყვნეს და  
დაჰჰსნას სასჯელი იგი ცოდვისად.

ესე ცოდვათა და ურჩულობათა ჩუენთათჳს მიიყვანა ნეფსით სიკუ-  
დილად, ჯუარს-ეცუა და იხილა გემოჲ სიკუდილისად, დაეფლა და აღდგა  
მესამესა დღესა.

ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა, და აღგუამაღლნა  
ჩუენ, ქუემდებარენი ესე ჯოჯოხეთს შინა.

და მოვალს კუალად, განშჯად ცხოველთა და მკუდართა, დიდებული-  
თა მით მოსლვითა მისითა, ვითარცა მან მხოლომან უწყის.

არღარა ჳორცითა ზრქელითა, არცა უწორცოდ, არამედ ღმრთივ-  
შუენიერთა და ღმრთის მსგავსითა ჳორცითა, ვითარცა მან უწყის, რადთა  
იხილვოსცა განმგურემელთა მათ და ჯუარმცუმელთა მისთაგან, და ეგოს  
ღმერთი გარეგან სიზრქისა.

რამეთუ ესეცა აღსაარებასა მას მართალსა შინა ჯერ-არს რწმუნებად,  
ვითარმედ ყოფად არს აღდგომად მკუდართად უეჭუელად, და განკითხვად,  
და მისაგებელი სამართალთაებრ სასჯელთა ღმრთისათა.

და ვითარმედ იგი არს ნათელი განწმედილთათჳს გონებითა, ესე იგი  
არს ხედვად ღმრთისად და გულისწმის-ყოფად საზომისაებრ სინწმინდისა თი-  
თოეულისა, რომელსაცა სასუფეველად ცათად სახელ-ვსდებთ.

და კუალად ბნელი – დაბნელებულთათჳს გონებითა, ესე იგი არს უც-  
ხო-ყოფად ღმრთისაგან, საზომისაებრ აქადთვე სიბნელისა კაცად-კაცადი-  
სა, და მიცემად საუკუნეთა მათ სატანჯველთა.

ამის ესევითარისა მართლისა სარწმუნოებისა საფუძველსა ზედა, სა-  
ყუარელნო, ვიქმოდით კეთილთა საქმეთა, რამეთუ „სარწმუნოებაჲ თჳნიერ  
საქმეთა მკუდარ არს“;<sup>1</sup> ვითარცა-იგი საქმენი – თჳნიერ სარწმუნოებისა.

და ესე არს ბრძანებაჲ უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესი,  
რომელ უბრძანა მოციქულთა, ვითარმედ: „ასწავებდითო დამარხვად ყო-  
ველი, რავდენი გამცენ თქუენ“;<sup>2</sup> ესე იგი არს სარწმუნოებაჲ მართალი და  
საქმენი კეთილნი.

ხოლო ვინადთგან დიდთა და მაღალთა საიდუმლოთა და მცნებათა  
ღმრთივშუენიერთა უბრძანა სწავლად ყოვლისა სოფლისა, ამისთჳს განა-  
მტკიცებს და განაძლიერებს გონებათა მათთა და ეტყჳს:

**ს ა ხ ა რ ე ბ ა ე: „და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და  
ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა. ამენ“ (28,20).**

თ ა რ გ მ ა ნ ი: იხილეა დიდებული ესე ჳელმწიფებაჲ? მე თქუენ თანა  
ვარო ყოვლადვე, ნუ გეშინინ, ნუცა შეორგულდებით, თუ ვითარმცა თქუენ,

<sup>1</sup> იაკობ 2,26.    <sup>2</sup> მათ. 28,20.

მცირედთა და უსწავლელთა, შეუძლეთ ამის საქმისა ქმნად, რადთამცა მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-ეცით და ასწავეთ დამარ-ხვად მცნებათა ჩემთა. რამეთუ ვინაფთგან მე თქუენ თანა ვარ, ესე ყოველი ადვილად აღესრულოს.

ხოლო არა მოციქულთა თანა ოდენ თქუა ყოფად, არამედ ყოველთა მორწმუნეთა, რომელნი იქმოდინ მცნებათა მისთა; რამეთუ ამისთვის შესძინა, ვითარმედ: „აღსასრულადმდე სოფლისა“.

არა თუ მოციქულთა ეგულეობდა აღსასრულადმდე სოფლისა ყოფად სოფელსა შინა, არამედ, ვითარცა ვთქუ, ყოველთა თანა აღგკთუა ყოფად მორწმუნეთა მისთა, რომელნი იქმოდინ მცნებათა მისთა; რამეთუ ვითარცა გუამსა ერთსა ეტყვს კრებულსა მას მორწმუნეთასა, ვითარმედ: ნუ გეშინინ ძნელოვანთა საქმეთაგან ამის სოფლისათა და განსაცდელთაგან მომავალთა, რამეთუ უკუეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ, მე თქუენ თანა ვარ, და ყოველივე კეთილად განგიმარჯო მოყუარეთა ჩემთა.

ესე სიტყუად ძუელსაცა შინა ჰრქუა მოსეს და იერემიას და ეზეკიელს, იჯმნიდეს რად წინაფსწარმეტყუელად, – მე ვარო თქუენ თანა. ეგრეთვე მოციქულთა ჰრქუა.

და აწ იხილე ამათი ახოვნება: წინაფსწარმეტყუელნი ერთისა ნათესავისა მიივლინებოდეს ქადაგებად – ჰურიათაფსა, რომელნი-იგი მათნივე ტომნი და ენანი იყვნეს, და მრავალგზის იჯმნიდეს; ხოლო ესენი ყოველთა წარმართთა მიავლინნა, და არარად ესევითარი თქუეს, არამედ მორჩილებით შეიწყნარეს სიტყუად მისი.

ხოლო მოაწსენა აღსასრულიცა სოფლისად, რადთა არა საწუთროსა ოდენ შრომასა ხედვიდენ, არამედ საუკუნეთა მათცა და დაუსრულებელთა კეთილთა იწსენებდენ; ვითარმცა ეტყოდა, ვითარმედ: რავდენიცა შრომად და ჭირი ამას სოფელსა შეგემთხვოს, ნუთერთ არს და წარმავალ, რამეთუ თვთ სოფელიცა ესე აღსრულებადი არს; ხოლო კეთილნი იგი სასუფეველისანი, რომელნი მიგელიან თქუენ, მოყუარეთა ჩემთა, უკუდავ არიან და დაუსრულებელ, უოხჭნო და მიუწთომელ.

ესრეთ განაძლიერნა გონებანი მათნი წსენებითა მის დღისადთა და წარავლინნა ქადაგებად ყოველსა სოფელსა, ვინაფთგან მადლი წმიდისა სულისად მოიღეს; რამეთუ ესე თავადმანვე უბრძანა, ვითარცა ლუკა გუაუწყებს: „ხოლო თქუენ დასხედითო ქალაქსა ამას შინა, ვიდრემდე შეიმოსოთ ძალი მალლით გამო“.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> ლუკ. 24,49.

## სწავლაჲ ჲ

### სინანულისათჳს და კეთილად მოქალაქობისა და უპოვრებისათჳს

კეთილად უკუე და სამართლად განამტკიცნა უფალმან გულნი მოციქულთანი ჳსენებითა მის დღისადათა; რამეთუ ნანდვლვე ჳსენებაჲ დღისა მის განკითხვისაჲ სათნოთა და ღმრთისმოყუარეთათჳს საწადელ არს, ვითარცა-იგი ცოდვილთათჳს და დასჯილთა გონებითა საშინელ არს და საგლოელ. ამისთჳს გვედრები, საყუარელნო ჩემნო, ნუ გუეშინის ოდენ და ვძრნით მის დღისაგან, არამედ მოვიქცეთ სინანულად, ვიდრელა ჟამი გუაქუს.

განვეშორნეთ ბოროტთა საქმეთაგან და ვიქმოდით კეთილსა; რამეთუ ძალ-გვც, უკუეთუ ოდენ გუენებოს. არა ჳხედავთა, ვითარ პირველსაჲცა შჯულსა შინა, ოდეს-იგი დიდ იყო მძლავრობაჲ ცოდვისაჲ, მრავალნი მძლე ექმნეს ვნებათა და წარჳმართეს სათნობაჲ?

არა ან უმეტესად ადვილ არსა, ვინაფთგან ქრისტე მოვიდა და განგვახლა ჩუენ გზად სათნობისაჲ და ცოდვაჲ დასაჯა პატიოსნითა ჯუართათჳსითა?

გულისჳმა-ყავთ უკუე, ვითარმედ არარაჲ ძნელი და შეუძლებელი გვბრძანა; არა გუამცნო განკუეთად მათაჲ, ანუ ფრინვაჲ ჳაერთა, ანუ განვლაჲ ზღუათაჲ, არცა სხუად რაჲმე შეუძლებელთაგანი, არამედ ესრეთ ადვილი მოქალაქობაჲ განგვწესა, რომელ ნებაჲ ხოლო გვჳმს სულისაჲ, და მეყსეულად წარემართების; არცა მახვლნი უჳმან, არცა საჭურველნი.

და მიხედვითლა წმიდათა მოციქულთა: კაცნი იყვნეს ჳორციელნი, გლახაკნი და შიშუელნი, ვითარ წარჳმართნეს ყოველნი მცნებანი ქრისტეს ღმრთისანი!

რამეთუ ჳემმარტად არარაჲ შეუძლებელი გვბრძანა უფალმან, რამეთუ იტყვს: ნუვის ემტერებო, ნუვის მოიძულებო, ნუ ბოროტსა იტყვ, შეიყუარე მოყუასი შენი. რაჲ შეუძლებელი არს ამათ შორის? უფროჲსად წინააღმდგომნი ამათნი არიან ძნელ და საძულელ, ხოლო ესენი არა ძნელ არიან ბუნებით, არამედ ბოროტნი ნებანი ჩუენნი აღგვჩენენ მძიმედ და ძნელად.

არამედ განვიფრთხოთ, ძმანო, და ვიზრუნოთ ცხორებაჲ სულთა ჩუენთაჲ. აჳა ესერა დაგვდვა უფალმან საფუძველი ცხორებისაჲ, რაჲჲამს უბრძანა მოციქულთა, ვითარმედ: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა; და ასწავლიდით მათ დამარხვად ყოველი, რავდე-ნი გამცენ თქუენ“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> მათ. 28,19-20.



ესე არს საფუძველი ჭეშმარიტი, ამისთვის იტყვს ნეტარი პავლე, ვითარმედ: „კაცად-კაცადი ეკრძალებს, ვითარ ვინ აშენებდეს. რამეთუ საფუძველი სხუად ვერვის ჯელ-ენიფების დადებად გარეშე მისა, რომელი-იგი დადებულ არს – იესუ ქრისტე. უკუეთუ ვინმე აშენებდეს საფუძველსა ამას ზედა ოქროსა, ვეცხლსა, ანთრაცსა პატიოსანსა, ძელსა, თივასა, ლერწამსა, კაცად-კაცადისა იგი საქმე გამოცხადნეს, რამეთუ დღემან მან გამოაცხადოს“.<sup>1</sup>

ან უკუე საცნაურ არს, ვითარმედ საფუძველი ჭეშმარიტი არს წმიდად ესე მართლალსაარებად, რომელი განგვწესა უფალმან, და წმიდათა მოციქულთა და მამათა გუასწავეს, და სხუად საფუძველი ვერვის ჯელ-ენიფების დადებად; რამეთუ რომელთაცა სხვსა საფუძველისა ჯელ-ყვეს დადებად, იქმნეს მწვალებელ და სამართლად შეიჩუენნეს და განვარდეს.

ხოლო ჩუენ გუაქუს მტკიცე ესე და ჭეშმარიტი საფუძველი. აღვაშენებდეთ მას ზედა ოქროსა და ვეცხლსა და ანთრაცსა პატიოსანსა, რომელ არიან საქმენი კეთილნი; დავადგრეთ საფუძველსა ზედა ჩუენსა, რომელ არს იესუ ქრისტე, დავადგრეთ მის თანა, ვითარცა ვენაჯსა შინა არნ ვაზი; ნუმცა განვეშორებით ყოვლადვე ქრისტესა, რადთა არა შეგუემთხვოს, რად-იგი მან ბრძანა, ვითარმედ: „უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდა გარე, ვითარცა ნასხლევი, და განჯმა, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწუეს“.<sup>2</sup>

ჰე, გევედრები, შეუდგეთ ქრისტესა და ნუ მოვსწყდებით მას, რადთა არა წარვწყმდეთ, რამეთუ წერილ არს: „აჰა ესერა რომელთა განიშორნეს თავნი თვსნი შენგან, იგინი წარწყმდეს“.<sup>3</sup> ხოლო შედგომად მისი და მიახლებად საქმეთა მიერ კეთილთა იქმნების, რამეთუ იტყვს: „რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე“.<sup>4</sup> და იხილეთ, რავდენითა სახითა შეგუაერთნა მან თავსა თვსსა:

იგი არს თავი, და ჩუენ ასონი; იგი არს საფუძველი, და ჩუენ დაშენებულნი; იგი არს ვენაჯი, ჩუენ რტონი; იგი არს მწყემსი, ჩუენ სამწყსონი; იგი არს სიძე, და ეკლესიად ჩუენი – სძალი; იგი არს გზად, ჩუენ მოგზაურნი; კუალად ჩუენ ვართ ტაძარ, იგი – მყოფი ტაძარსა მას შინა.

იგი არს პირმშოდ, და ჩუენ გვწოდა ძმად; იგი არს მკვდრი, ჩუენ თანამკვდრნი; იგი არს აღდგომად, ჩუენ აღდგომილნი; იგი არს ცხორებად, ჩუენ ცხოველნი. ესე ყოველი შენანვერებასა და შეერთებასა მოასწავებს და არარას დაუტეობს შორის, არცა ყოვლადვე ჯელ-გუენიფების განყოფად მისგან. რომელი განიყოს და განიკუეთოს, წარწყმდეს.

რამეთუ განიკუეთოს თუ ასომ გუამისაგან, განკუეთილი იგი მკუდარ არს და წარწყმედილ, და ნასხლევი, მოიკუეთის რად ვაზისაგან, უჯმარ იქმნა. ეგრეთვე ჩუენ, უკუეთუ მცირედცა მოვსწყდეთ ქრისტესა, მცირე

<sup>1</sup> 1 კორ. 3,10-13.

<sup>2</sup> იოან. 15,6.

<sup>3</sup> ფსალმ. 72,27.

<sup>4</sup> იოან. 14,21.

იგი არა მცირე არს, არამედ მყის დიდ იქმნების და ყოვლითურთ განგუაშორებს.

ამისთვის, ოდეს მცირედი რაიმე ვცოდოთ ანუ უდებ ვიქმნათ, ნუ უგულებელს-ვჰყოფთ, რაფთა არა დიდი დანახეთქი იქმნას შორის ჩუენსა და ქრისტესსა, და დიდთა ბოროტთა შთავვარდეთ; არამედ ვისწრაფოთ, რაოდენ ძალ-გვც, თანაშევიწინეთ ლოცვანი წმიდათანი და მოლუანებანი სულიერთა წინამძღუართანი, რაფთა მცირედიცა იგი წყლულებად განიკურნოს და არა ძნიად საკურნებელ იქმნეს. და უკუეთუ განსაცდელითა მტერისაფთა ვერ დავიცვნეთ თავნი ჩუენნი საფუძველსა ამას ზედა კეთილსა, არამედ გარდავგორდეთ, ვითარცა ქვანი უჭმარნი, და დიდ იქმნას წყლულებად ჩუენი უდებებითა ჩუენითა, მერმეცა მოვიქცეთ სინანულად, და შეგუენიოს ღმერთი, „რამეთუ არა ჰნებავს სიკუდილი ცოდვილისაჲ, არამედ მოქცევაჲ და ცხორებაჲ“.<sup>1</sup>

და ვიდრე სოფელსა ამას შინა ვიყვნეთ და არა მოწვეწულ იყოს სიკუდილი, რავდენთაცა ცოდვათა შთავვარდეთ, ჳელ-გუენიფების სინანული, უკუეთუ გუენებოს, და პირველსავე წესსა მიწვეწნად და უმაღლესსაცა აღსლვად, უკუეთუ ვიღუანოთ.

ან უკუე ნუმცა ვინ წარიკუეთს სასოებასა, ნუმცა შეიპყრობის სენითა მით უშჯულოთაფთა, რამეთუ მათი არს ესე ცოდვაჲ, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: უშჯულოჲ მი-რაჲ-ინიის სიღრმედ ბოროტთა, უგულებელსყვის. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ არა თუ სიმრავლე ცოდვათა იქმს სასონარკუეთილებასა, არამედ უშჯულოჲსა გონებაჲ.

ხოლო შენ, კაცო, დაღაცათუ ყოველთა ბოროტთა შთავრდომილ იყო, თქუ, ვითარმედ: კაცთმოყუარე არს ღმერთი და ჰნებავს ცხორებაჲ ჩუენი, რამეთუ იტყვს: „უკუეთუ იყვნენ ცოდვანი თქუენნი, ვითარცა ღებილნი, ვითარცა თოვლნი განვასპეტაკნე“.<sup>2</sup> ესე თქუ და განეშორე ცოდვასა, მოიქეც სინანულად, და მზა არს ღმერთი შეწყნარებაჲ შენდა.

ან უკუე ნუ სასონარკუეთილ ვართ, რამეთუ არა ესრეთ ბოროტ არს დაცემაჲ, ვითარ დაცემულისა არაადღგომაჲ; არცა ესრეთ ძნელ არს წყლვაჲ, ვითარ წყლულებისა მის კურნებისა არაძიებაჲ.

რამეთუ ვინ იქადოს სინმიდე გულისა, ანუ ვინ იკადროს თქუმად, თუ: წმიდა ვარ ყოვლისაგან ცოდვისა? არამედ სინანულითა განვიბანნეთ ცოდვანი, რამეთუ მზა არს სახიერი ღმერთი შეწყნარებაჲ მონანულთა.

და ამას ვიტყვ არა ამისთვის, რაფთამცა უდებებაჲ მოგიყვანენ. ნუ იყოფინ! არამედ რაფთა არავინ მოვიდეს სასონარკუეთილებაჲ.

გნებავსა ცნობად, ვითარ სახიერ არს მეუფე ჩუენი? წარდგა ოდესმე მეზუერე, სავსე ბევრეულითა ბოროტითა, და თქუა: „ღმერთო, მილხინე ცოდვილსა ამას“,<sup>3</sup> და მოიქცა განმართლებული. რაფმცა იყო სწორი

<sup>1</sup> შდრ. ებეკ. 18,23; 33,11.

<sup>2</sup> ესაია 1,18.

<sup>3</sup> ლუკ. 18,13.

ამის კაცთმოყუარებისა? არამედ ესე არს ბოროტი ჩუენი, რომელ არცა თუ ესოდენსა ღმობიერებასა ვაჩუენებთ, არცა ჴელ-ვჰყოფთ მცნებათა ქრისტესთა აღსრულებად. ამისთჳს უკურნებელ იქმნებიან სენნი ჩუენნი. ხოლო უკუეთუმცა მოვიქეციოთ სინანულად, არა ძალ-უც სიმრავლესა ცოდვათა ჩუენთასა ძლევად სახიერებასა ღმრთისასა. ნუ იყოფინ!

არამედ ჰ ჩუენი ესე გულფიცხელობად! ყოველნი შექცეულ ვართ ანგაჰრებასა, ვეცხლისმოყუარებასა, უდებებასა და სხუათა ბოროტთა. მეშინის, ნუუკუე ითქუას ჩუენთჳსცა, რად-იგი ჰრქუა ღმერთმან იერემიას ჰურიათათჳს: „არა ჰხედავო, რასა ესენი იქმან? მამანი მათნი აგზებენ ცეცხლსა, ძენი მათნი კრებენ შეშასა, დედანი მათნი ზელენ ცმელსა“.<sup>1</sup>

ნუუკუე ჩუენთჳსცა ითქუას: არა ჰხედავ, რასა ესენი იქმან? ყოველნი თჳსსა ეძიებენ და არა ქრისტესსა: მამანი მიმორბიან მიხუეჴად და ტაცეზად, ჴაბუკნი ერევიან საქმეთა ბილწებისათა, დედანი შექცეულ არიან სამკაულთა და სახიობათა, ცუდთა და მავნებელთა. ვიდრემდის ვიყვნეთ, ძმანო, მონებასა შინა მამონაჲსსა? ვიდრემდის ვიყვნეთ ტყუენი საჴმართმოყუარებისანი და სხუათა მათ ვნებათა?

არა შევიკდიმოთა მამათა ჩუენთაგან, სამ ათასთა მათ და კუალად ხუთ ათასთა, რომელთა „გული და გონებად ერთ იყო, და არცა ერთმან ვინ თქჳს მონაგები მისი თჳსად, არამედ იყო ყოველივე მათი ზოგად“?<sup>2</sup> რად არს სარგებელი ამის ცხორებისაჲ, უკუეთუ არა ამითა მოვივაჴროთ საუკუნოდ იგი?

იხილეთ, ვითარითა სასყიდელითა მოგჴყიდნა ჩუენ ქრისტემან: თავი თჳსი მისცა და პატიოსნითა სისხლითა თჳსითა გჴჴსნნა სანუთროჲსა ამისგან ბოროტისა; და ან ჩუენ კუალად დავამონებთ თავთა ჩუენთა, ვინად-იგი ვიჴსნენით, და უძკრესი ესე არს, რომელ სანადელცა გჴჩნს ბოროტი ესე მონებაჲ.

განვიფრთხოთ, საყუარელნო, განვაგდოთ ჩუენგან უღელი ბოროტისა მის სოფლის მონებისაჲ და დავემონნეთ ქრისტესა, რამეთუ არა ჴელ-გუენიფების მონებად ღმრთისა და მამონაჲსა.<sup>3</sup> ბოროტ არს მონება მამონაჲსი, აჴა ზრუნვანი და ჴირნი ცუდნი, და მუნ საუკუნესა – სასჯელი.

ხოლო მონებაჲ ქრისტჳსი აჴაცა ტკბილ არს და სანადელ და მსგავს ანგელოზთა, და მუნ – სანატრელ და დიდებულ.

და ნუ იტყჴ, კაცო, თუ სიმდიდრე და საფასეთა სიმრავლე კეთილ არს და საქებელ კაცთა მიერ, ხოლო სიგლახაკე სანყინო არს და სანუნელ კაცთა; არამედ იხილენ, თუ ვინ მას შინა გამოჩნდა, ანუ ვინ – ამას.

უჰოვარებითა ელია იქცეოდა და ამალდა უცხოსა მას გზასა, ამითვე ელისე განბრწყინდა, ამითვე იოვანე ნათლისმცემელი და ყოველნი მოციქულნი.

<sup>1</sup> იერ. 7,17-18.

<sup>2</sup> საქმე 4,32.

<sup>3</sup> შდრ. მათ. 6,24; ლუკ. 16,13.

იხილენ, მონაფენიცა საფასეთანი ვინ არიან: აქაბ, იეზაბელ, გეეზი, იუდა, კაიაფა, ნერონ; ჰხედავა, ვინ არიან იგინი და ვინ ესენი?

თქუას ვინმე, ვითარმედ: უპოვრებასა აქუს ჭირი, რამეთუ რაჲ უჭმნ, არა პოის. რაჲ არს ესე სიტყუად, კაცო? პავლეცა არა სიყმილითა და სიშიშულითა გარდაიწადნა დღენი თვსნი? გარნა ან განისუენებს უკუნისამდე. და უფალსა ჩუენსა არა აქუნდა, სადამცა თავი მიიდრიკა. იხილეა, სადალა აღვიდა ქებაჲ უპოვრებისა და სიგლახაკისაჲ და ვის დაამოყუსებს მუშაკთა მისთა? ნმიდათა მათ დიდთა, და უფროსლა თავადისა უფლისა მობაძავ-ჰყოფს.

უკუეთუმცა ოქროდ და ვეცხლი და სიმდიდრე კეთილ იყო, არამცა მიეცაა ქრისტეს მონაფეთადა? ჰე, ჭეშმარიტად; რომელმან მოუგონებელნი იგი კეთილნი მისცნა, ოქროდცამცა უხუებით მიეცა. გარნა არა ხოლო თუ არა მისცა, არამედ ამცნოცა არა მოგებად. ამისთვს პეტრეს არა სირცხვლ-უჩნდა სიგლახაკე, არამედ უფროსად იქადოდა და იტყოდა: „ვეცხლი და ოქროდ არა მაქუს ჩუენ, ხოლო რომელი მაქუს, მიგცეთ შენ“.<sup>1</sup> ან უკუე პეტრე რომელმან საქმემან სანატრელ-ყო: აღდგინებამან მკელობელისამან ანუ დატეობამან საფასეთამან? თავადისა ქრისტესგან ისწავე, რაჲ ჰრქუა მან მდიდარსა მას, რომელი ეძიებდა საუკუნესა ცხორებასა; არა რქუა, თუ: აღადგინენ მკელობელნი ანუ მკუდარნი, არამედ: „განყიდო მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და მოვედ და შემომიდეგ მე“.<sup>2</sup>

და კუალად პეტრე არა თქუა, თუ: უფალო, აჰა სახელითა შენითა განვასხამთ ეშმაკთა და ვიქმთ სასწაულთა (რამეთუ მრავალსა იქმოდეს), არამედ თქუა: „აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველი და შეგიდეგით შენ; რაჲ-მე იყოს ჩუენდა?“<sup>3</sup>

და უფალმან არა სასწაულთა მოქმედობაჲ სანატრელ-ყო, არამედ „რომელმან დაუტეოსო სახლი, გინა აგარაკი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამაჲ, ანუ დედაჲ, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ ქუეყანაჲ სახელისა ჩემისათვს, ასი წილი მიილოს და ცხორებაჲ საუკუნოდ დაიმკვდროს“.<sup>4</sup> ან უკუე, საყუარელნი, ჩუენცა ესრეთ ვიქმოდით, რადთა არა სირცხვლელულ ვიქმნეთ, არამედ კადნიერებით წარვდგეთ წინაშე საყდარსა ქრისტესსა.

ჰე, გვედრები, მოვიგნეთ კეთილნი საქმენი, შევინანნეთ ცოდვანი ჩუენნი, ვილუანოთ დამარხვად, რაჲ-იგი გუამცნო უფალმან, რადთა იყოს იგი ჩუენ თანა, ვითარცა მოციქულთა თანა იყო. რამეთუ უკუეთუ მათსა მოქალაქობასა ვჰბაძვიდეთ, ჭეშმარიტად ჩუენ თანაცა იყოს, ვითარცა მათ აღუთქუა, ვითარმედ: „აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა“.<sup>5</sup>

<sup>1</sup> საქმე 3,6.

<sup>2</sup> მათ. 19,21.

<sup>3</sup> მათ. 19,27.

<sup>4</sup> მათ. 19,29.

<sup>5</sup> მათ. 28,20.

ჰე, უფალო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩუენო, მეუფეო სახიერო და კაცთმოყუარეო! ნუ განმემორები ჩუენგან, ნუ დამიტევებ ჩუენ, ნუცა დაგუაგდებ ჩუენ, არამედ ჩუენ თანა ჯერ-იჩინე მარადის ყოფად. ავოცენ ჳელითნერილნი ცოდვათა ჩუენტანი, გჳსნენ მძლავრებისაგან ეშმაკისა, მყვენ ჩუენ მუშაკ მცნებათა შენთა, წარმიძელუ ნებასა შენსა ყოვლად-წმიდასა და ღირს-გუყვენ მიმთხუევად კეთილთა მათ მოუგონებელთა და გამოუთქუმელთა ზეცისა სასუფეველსა შენსა. რამეთუ შენ ხარ, რომელსა გნებაეს ყოველთა ცხოვრებად და მეცნიერებასა მას ჭემმარიტებისასა მოსლვად. და შენი არს სუფევად, ძალი და დიდებად თანა დაუსაბამოდთ მამით და ყოვლადწმიდით და სახიერით ცხოველსმყოფელით სულითურთ ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

დიდებამ შენდა, სამებაო წმიდაო, ერთღმრთებაო და ერთარსებაო, სრულმოყოფელო ყოველთა კეთილთაო, რომელმან ღირს-მყავ უღირსი ესე სრულ-ყოფად თარგმანებასა წმიდისა ამის სახარებისასა.

წმიდანო მახარებელნო და წმიდაო იოვანე ოქროპირო, მეოხ ეყვენით წინაშე უფლისა მამასა ჩემსა იოვანეს და მეურა შემინყალეთ, უღირსი ესე და მრავალთა წოდვათა თანამდები მონამ თქუენი ეფთიძე.

და დიდად მოსავი თქუენი წმიდამ ზერი იოვანე გრძელისძე მოვსენებულ-ყავთ [მარადის წინაშე ქრისტეს ღმრთისა, რომელმან ესე წიგნი შეჰპაჲდა...].

და თქუენრა, რომელნი იკითხვიდეთ, ლოყვა-ყავთ ნაღიერებით და სარწმუნოებით შრომისათუს, მამანო და ძმანო, და თქუენრა ღირს იქმნეთ მაღლსა.

გვედრები ყოველთა, რომელნი ამას წიგნსა სწერდეთ, ესე ანდერძი\* დაუკლებლად თანა დანერეთ. ვინ არა დანეროს, დიდსა ზრალსა თანამდებ არს.

და აღესრულა თარგმანებამ ესე ნუსხად მათეს თავისამ სრულიად ჳელითა გლახაკისა ეფთიძესითა მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმრთის-მშობელისასა. ვინრა იკითხვიდეთ, შრომისათუს\*\* [ლოყვა-ყავთ და ზომად წერისათუს შემინდვეთ. უწალო ვიყავ და უფრომსი ღამით მინერია.

დაინერა მთასა წმიდასა ათონას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელი-სასა, ინდიქტიონსა ზერძულად იე, ქრონიკონში იყო დასაზამიოვან ნელთა ხფი].

\* იგულისხმება ანდერძი, რომელიც ათ. 10 ხელნაწერში მოსდევს თარგმანების ტექსტს. დაიბეჭდა I ტომში (იხ. გვ. 9).

\*\* აქ წყდება ათ. 10 ხელნაწერი. შევსებულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის №20 ხელნაწერით.

## საკიბელო

თავი ლფ	11,25–11,30.....	5
თავი ლთ	12,1–12,8.....	14
თავი მ	12,9–12,24 .....	21
თავი მა	12,25–12,32 .....	27
თავი მბ	12,33–12,37.....	35
თავი მგ	12,38–12,45 .....	42
თავი მდ	12,46–13,9.....	53
თავი მე	13,10–13,17 .....	62
თავი მვ	13,24–13,33.....	68
თავი მზ	13,34–13,52.....	76
თავი მთ	13,53–14,12 .....	85
თავი მთ	14,13–14,22 .....	97
თავი ნ	14,23–14,36.....	106
თავი ნა	15,1–15,20 .....	114
თავი ნბ	15,21–15,31.....	124
თავი ნგ	15,32–16,12 .....	134
თავი ნდ	16,13–16,23 .....	144
თავი ნე	16,24–16,27.....	157
თავი ნვ	16,28–17,9.....	170
თავი ნზ	17,10–17,21 .....	182
თავი ნთ	17,22–18,6.....	193
თავი ნთ	18,7–18,14 .....	201
თავი რ	18,15–18,20 .....	214
თავი რა	18,21–18,35 .....	221
თავი რბ	19,1–19,15 .....	230
თავი რგ	19,15–19,26.....	239
თავი რდ	19,27–20,16 .....	245
თავი რე	20,17–20,34 .....	259
თავი რვ	21,1–21,11 .....	274



თანზო	ღჁ	21,12–21,32.....	281
თანზო	ღჂ	21,33–21,46.....	293
თანზო	ღჃ	22,1–22,14.....	305
თანზო	Ⴍ	22,15–22,33.....	315
თანზო	Ⴍა	22,34–22,46.....	323
თანზო	Ⴍბ	23,1–23,12.....	329
თანზო	Ⴍგ	23,13–23,28.....	337
თანზო	Ⴍდ	23,29–23,39.....	345
თანზო	Ⴍე	24,1–24,15.....	353
თანზო	Ⴍვ	24,16–24,31.....	365
თანზო	Ⴍზ	24,32–24,51.....	379
თანზო	Ⴍთ	25,1–25,30.....	393
თანზო	Ⴍთ	25,31–26,5.....	402
თანზო	პ	26,6–26,16.....	412
თანზო	პა	26,17–26,25.....	420
თანზო	პბ	26,26–26,35.....	429
თანზო	პგ	26,36–26,50.....	442
თანზო	პდ	26,51–26,68.....	449
თანზო	პე	26,69–27,10.....	461
თანზო	პვ	27,11–27,26.....	468
თანზო	პზ	27,27–27,44.....	477
თანზო	პთ	27,45–27,61.....	506
თანზო	პთ	27,62–27,66.....	518
თანზო	ჟ	28,1–28,20.....	523



## შენიშვნებისთვის



ოპერატორი: ნატალია დანგაძე  
დამკაბადონებელი: გოჩა გრიგალაშვილი  
დიზაინერი: თინათინ ჩირინაშვილი

გარეკანზე: წმ. მათე მახარებელი და წმ. იოანე ოქროპირი.  
მინიატურა წმ. იოანე ოქროპირის მათეს სახარების განმარტებიდან.  
სინას მთის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტრის ხელნაწერი,  
Sinait gr. 364, 1042-1050 წწ. ფორზაცზე: „თარგმანებად მათეს  
სახარებისად“, ხელნაწერი A 136, XI ს.

დაიბეჭდა შპს ფავორიტი სტილში